პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ზელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 32 კვირა, 11 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 32

დ ღ ი უ რ ი

ბადენის ოლქში შეიჭრნენ საფრანგეთის ჯარები.
რუსეთის და ოსმალეთის დელეგაციებმა დატოვეს ლოზანა.
ოსმალეთმა წინადადება მისცა მოკავშირეების გემებს დასტოვონ სმირნის ნავთსადგური.
ამერიკასა და ოსმალეთ შორის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ გრძელდება.
მემელის მთავრობა გადადგა
რუსეთში ჩამოვიდა შვეციის ოფიციალური დელეგატი სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის

საგიტაციო-საპროპაგანდო

განყოფილება

ორშაბათს, 12 თებერვალს, დილის 11 საათზე,

თბილისის კომიტეტის ბინაზე

იწვევს

წითელ არმიის 5 წლის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის კამპანიების ჩამტარებელ კომისიის თათბირს

მოწვეულნი არიან: რაიკომების, კავკასიის ცალკე ლაშქრის პოლიტიკურ მმართველობის, საქართველოს დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების, ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილების, მთავარ პოლიტიკურ განათლების, ქალაქის კომენდანტის, განათლების სახ. კომისარიატის და ამიერ-კავ. საგანგებო კომისიის პოლიტსეკრეტარიატის წარმომადგენლები.

დღის წესრიგში:

1. წითელ არმიის 5 წლისა და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის დღესასწაულის გეგმის გამომუშავება.

თფ. კომიტ. საგ.-საპროპ. განყოფილება.

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფთა და შეფთა-ქვემდებარე ნაწილებს ნუ მოსთხოვენ შეფს დღესასწაულის ჩასატარებლად სპეციალურ თანხას (უკვე გადადებულ ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე), რადგან საერთო საკავშირო მასშტაბით დღესასწაულის მოსაწყობათ შეფთა ბიუროს ცენტრალურ კომისიის მიერ თანხა უკვე გადადებულია.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი **არუხტანოვი**

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფთა რწმუნებულთ იზრუნონ იმ თანხის ბიუროს კასაში დაჩქარებით შეტანისათვის, რომელიც გადადებულია წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად და აგრეთვე საერთო თანხიდან 10 პროცენტი გადარიცხონ ქვემეფების ნაწილებისათვის 1923 წ. 1 იანვრიდან.

შეფთა ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი—**არუხტანოვი.**

საბჭოთა საქართველოს მუშებო, გლეხებო და მუშა-ქალებო!

1914—1918 წლების პირველი ველური იმპერიალისტური ომის გამჩაღებლები—ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტები კვლავ ამზადებენ ხალხთა სასაკლაოს,—მუშების და გლეხების სისხლის ღვრას თავიანთი მტაცებლური კაპიტალისათვის.

ინგლისს სურს გასთელოს ახალი ოსმალეთი, საბოლოოდ ხელთ იგდოს მცირე-აზიის სიმდიდრე, როგორიც არის, მაგალითად, მოსულის ნავთი, დარდანელის სრუტეები სტამბოლით, რათა შავი ზღვა აქციოს თავის ტბათ და მუდმივი საფრთხის წინაშე დააყენოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი და მათ რიცხვში საბჭოთა საქართველო.

პარიზის მევახშე-ბანკირებმა, საფრანგეთის მტაცებლებმა უგუნურ სისხლის მსმელ პუანკარეს მეთაურობით, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მოურიგდენ თავიანთ ინგლისელ თანამოძმეებს,—რამოდენიმე ასეულ-ათას შეიარაღებულ ჯარის-კაცებით, მათ რიცხვში აფრიკის შავკანიანებით, რომლებიც ჯერ კიდევ მონებათ ჰყავთ,—დაიკავეს გერმანიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამრეწველო ნაწილი, ურომლისოდაც მას ცხოვრება და არსებობა არ შეუძლია.

რურის მუშები განიცდიან ოკუპაციის მთელს სიმწვავეს, რაც თქვენც ნათლად გხვდათ, საქართველოს მუშებო და გლეხებო, 1918—1919 წლებში საქართველოს ოკუპაციის დროს ხან გერმანიის და ხან ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ, რომლებსაც მჭიდრო კავშირი და თანხმობა ჰქონდათ სოციალ-გამცემლებთან, საქართველოს მენშევიკებთან.

დაკავებულ ოლქში სულის შემხუთველი მდგომარეობაა. სიმშილი, საფრანგეთის მილიტარისტების თარეში, რურის ოლქის მუშების და გლეხების ძარცვა.

გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ ოკუპაციამდე გათვალისწინებული ჰქონდათ მისი შესაძლებლობა, კომინტერნის დირექტივებით მოაწყვეს გაერთიანებული ყრილობა ესსენში და გადასწყვიტეს—ყოველივე ძალ-ღონით შებრძოლებოდენ ოკუპაციას. კომინტერნი და პროფინტერნი მოუწოდებდენ ორ და ორ-ნახევარ ინტერნაციონალების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ყვითელ მენშევიკებს გაერთიანებული ფრონტით მუშათა კლასის ელემენტარულ უფლების დაცვისაკენ.

ეს არამზადები კი აქამდე ბურჟუაზიას მისდევენ უკან და მხოლოდ პოლიტიკიების ფრაზებით და ქაღალდის პროტესტებით თვალს უხვევენ მუშათა მასსებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩამოსცილებიან მათ. მაგრამ უკანასკნელთ თანდათან შეიარაღებული კაპიტალის გრძემლი აფხიზლებს და ისინი, ზურგს აქცევენ რა თავის ძველ მოღალატე ბელადებს, დღითიდღე ჰქმნიან ერთიან ფრონტს, როგორც ამას მათ ურჩევს მსოფლიო რევოლუციის დიადი შტაბი—**კომინტერნი.**

სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს მუშების, მუშა-ქალების და გლეხთა მასსების სახელით, აწ უკვე გაერთიანებულების ამიერ-კავკასიის ფედერაციულ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც არის ნაწილი უკრაინის და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიადი კავშირის რ. ს. ფ. ს. რ. მეთაურობით, **მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას** საფრანგეთის კაპიტალის მტაცებლების წინააღმდეგ და მხურვალე ძმურ თანაგრძნობას და სოლიდარობას რურის მებრძოლთადმი, საფრანგეთის და გერმანიის მებრძოლ მუშებსა და გლეხებისადმი და მოუწოდებს საქართველოს ს. ს. რ. ყველა პატიოსან ცხოვრებს რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, ქალაქებშიც და სოფლებშიაც, შეუერთდნენ ამ მოწოდებას. იყვნენ მზად სადარაჯოზე, ჩვენი სახელოვანი საერთაშორისო წითელი ჯარის დახმარებით, ჯარის, რომელსაც შევადგენთ ჩვენ თვითონ—ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები, რურის, საერთოდ საფრანგეთის, გერმანიის და მთელი ევროპის მუშების დასახმარებლათ, იმ მუშების, რომელნიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კაპიტალიზმის და საერთაშორისო იმპერიალიზმის ველურ ბრჭყალებში.

ძირს კაპიტალიზმი-იმპერიალიზმი!
გაუმარჯოს **კომუნიზმს!**
გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!
გაუმარჯოს მთელ ქვეყნის საბჭოებს!
გაუმარჯოს რურის მებრძოლ მუშებსა და მთელ მებრძოლ საფრანგეთ-გერმანიის პროლეტარიატს კომინტერნის მეთაურობით!
გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის დიად შტაბს, მესამე **ინტერნაციონალს...**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **სახაშვილი.**

1923 წ. თებერვლის 8.
ქ. ტფილისი.

ამიერ-კავკასიის სასურსათო თათბირის გამო

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, სხვათა შორის, გაერთიანებულია მასში შემავალ ცალკე რესპუბლიკების სასურსათო კომისარიატები.

გაერთიანებულმა კომისარიატმა ამ დღეებში მოიწვია მხარის სასურსათო ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი.

სასურსათო საქმის მოგვარება საბჭოთა ხელისუფლების ერთი ძირითადი ამოცანათაგანია.

მთავარი ადგილი აქ უჭირავს სასურსათო გადასახადს.

საბჭოთა რესპუბლიკების განსაკუთრებულმა პირობებმა წარმოშვა ეს გადასახადი. მრეწველობა დანგრეული იყო, ფულის ფასი დაეცა.

ამავე დროს კი აუცილებელი იყო წითელი არმიის და მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფა, სახელმწიფოს სხვა მრავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სასურსათო გადასახადი ისეთი ღონისძიებაა, რომელიც ხელისუფლებას აძლევს მნიშვნელოვან ფონდს. საჭირო სურსათ-სანოვაგის შეძენა მარტო ფულის ნიშნებით შეუძლებელია; ამასთან ასეთ ნაბიჯს მოყვება ფინანსების საქმის გაუარესება და, მაშასადამე, მთელი სამეურნეო ცხოვრების აწეწ-დაწეწვა. სასურსათო გადასახადი ერთი ისეთი ზომათაგანია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი მანეთის კურსის სტაბილიზაციას.

დღესაც, თუმცა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება საერთოდ გაუმჯობესდა,—და გაუმჯობესდა, სხვათა შორის, სასურსათო გადასახადის წყალობით,—მაგრამ მაინც არც ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ შესაძლებელი იყოს სავსებით ფულის სისტემაზე გადასვლა და მარტო ბაზრის საშუალებით ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ეს გარემოება ჩვენ გვიკარნახებს ნატურგადასახადის ისევ დატოვებას, კერძოდ მიმდინარე 1923 წლისათვის.

სასურსათო თათბირმაც ეს აზრი გარკვეულად გამოსთქვა.

მეორე წელიწადია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება სასურსათო გადასახადი. ხალხი უკვე შეეჩვია მას, შეიგნო მისი აზრი. მისი გადახდა მეურნეს არ ეძნელება.

ამასთან საკმაო გამოცდილება შევიძინეთ თვით გადასახადის გატარების მეთოდების და ფორმების სფეროში.

ასეთივე პრაქტიკა დაგროვდა მეზობელ რესპუბლიკებშიც.

დღემდე თვითეული რესპუბლიკა სრულიად დამოუკიდებლად და თავის გამოცდილების მიხედვით აწარმოებდა ამ საქმეს.

საჭიროა ჩვენს ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში დაგროვილ მასალების თავმოყრა და ერთიანი გეგმის და ზოგადი ფორმების გამომუშავება. როგორ უნდა ხდებოდეს სასურსათო გადასახადის გაწერა, როგორ და რა მასალების თანახმად უნდა გამოირკვეს თითეულ მეურნეობის გადახდის უნარიანობა, ამასთან იმ ზომების გამონახვა, რომელნიც გადასახადის სიმძიმეს დააკისრებენ შეძლებულ მეურნეთ, ხოლო ღარიბ გლეხკაცობის ინტერესები და უფლებები დაცული იქნება; ზომების მიღება, რათა სასურსათო გადასახადმა არ შეაფერხოს სასოფლო მეურნეობის განვითარება,—ყველა ეს საკითხები უკეთ გადაიჭრება, რესპუბლიკებში დაგროვილ პრაქტიკის და მასალების საფუძვლიანი გათვალისწინებით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიაში სასურსათო საქმის და სასურსათო გადასახადის ერთიანი გეგმის შემუშავება სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველაფერი საერთო საზომით და შაბლონით უნდა განხორციელდეს. ამიერ-კავკასიის სასურსათო ცენტრალური ორგანო იმუშავებს მხოლოდ ზოგად დებულებებს და ძირითად პრინციპებს, რომელნიც გატარდებიან ცალკე რესპუბლიკების და რაიონების თავისებურ პირობებთან შეფარდებით.

სასურსათო თათბირი გაითვალწინებს ყველა ამ საკითხებს და ხელს შეუწყობს მომავალში სასურსათო საქმის მოგვარებას და სასურსათო კამპანიის კიდევ უკეთ ჩატარებას.

ს მ ო ლ ს კ ი

საქართველოს უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალში ირჩევა აფერისტ სმოლსკის საქმე.

სმოლსკის პიროვნება, თავის თავად აღებული, ჩვენ არ გვაინტერესებს. ის უფრო ობიექტია კრიმინალური ფსიქოლოგიის და ბნელი თავგადასავალის რომანების, რომელიც ასე იტაცებს გახრწნილ და უსაქმურ ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

და ამიტომაც ეტანება ის სმოლსკის პროცესს ასეთი ინტერესით და ცნობისმოყვარეობით. მან იცნო ამ აფერისტ'ში თავისი შინაური კაცი, რომლის „საგმირო“ საქმეები მას ახერვებს უხიჩი ებს, რომლის ბედს ის გულგრილად ვერ შეხედავს.

ამ გარდამავალი კლასის ყოველ წარმომადგენელში ბუდობს სმოლსკი, ან როგორც პოტენცია, შესაძლებლობა, ან როგორც ამა თუ ი ფორმით, ნაკლები თუ მეტი მასშტაბით, განხორციელ ბული სინამდვილე.

სმოლსკი ხორცი-ხორცთაგანია და სისხლი-სისხლთაგანი ბურჟუაზიული წყობილების და საზოგადოების; ის როგორც, წარმოშობით და აღზრდაგანათლებით, ისე თავისი პსიხოლოგიით სავსებით ეკუთნის მას.

რა ახასიათებს ზნეობრივად ამ კერძო საკუთრებაზე აგებულ საზოგადოებას?—მრავალ „კეთილ“ თვისებათა შორის, მოტყუება, აფიორა, პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრების ძიებაში საშუალებათა განურჩევლობა.

ბურჟუაზიულ ქვეყნების ცხოვრებამ იცის მრავალი აფერისტული სკანდალები და პანამები. ხოლო უფრო მცირე საზომით ის ჩვეულებრივი მოვლენაა იქ ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში.

სმოლსკი საბჭოთა რესპუბლიკაში—ეს ანარეკლია დამარცხებულ კლასის და რეჟიმის.

ის ვერ შეეგუა მუშათა კლასის გაბატონებას, პატიოსან, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, და ახალ პირობებში მოიწადინა ძველი, აფერისტული საშუალებებით სიმდიდრის მოხვეჭა და ფუფუნებით ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლება ორგანიზაციულ შენების პროცესში იმყოფებოდა; ცენტრებსა და ადგილებს შორის კიდევ არ იყო მოგვარებული მჭიდრო კავშირი.

ასეთი ვითარება თავის სასარგებლოდ მოხერხებულად გამოიყენა ბნელმა პირმა პირადი ინტერესებისათვის. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ის დაუსჯელად დათარეშობდა საბჭოთა რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონში, ამზადებდა ყალბ მანდატებს და მოთხოვნებს, ეწეოდა ბოროტ სპეკულიაციას, სცემდა საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს და უამრავ ნივთიერ ზარალს აყენებდა მშრომელთა სახელმწიფოს.

ბოლოს ის მოხვდა ბრალდებულის სკამზე. საბჭოთა სასამართლო სმოლსკის სახით ასამართლებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ საზოგადოებას და რეჟიმს, რომლის ღვიძლი შვილიც ის არის.

ამასთან ჩვენ ამ პროცესიდან უნდა გამოვიყვანოთ ზოგიერთი გაკვეთილი. სმოლსკები, ნაკლები მასშტაბით, ალბად კიდევ მოიპოვებიან. ისინი ხშირად შესული არიან ჩვენს დაწესებულებებში და ეწევიან იქ ბნელ, სპეკულიანტურ კომბინაციებს და ბოროტ-მოქმედებას.

ასეთი ელემენტების ამოთხვრას საბჭოთა ხელის უფლებამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ამასთან ყველგან და ყველაფერში უნდა გამეფდეს მეტი კანტროლი, მეტი კრიტიკული მოპყრობა საქმისადმი.

ჩვენ უნდა მივიღოთ გადაჭრილი ზომები იმ მუწუკების მოსაჭრელად, რომელნიც სმოლსკების და მათი მსგავს ელემენტების სახით ღრღნიან სახელმწიფოს და ხალხის სხეულს.

მეტი ყურადღება პრესას

თითქმის ორი წელიწადი სრულდება, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, რომელსაც სათავეში კომუნისტური პარტია უდგას, და ჩვენი პარტიული პრესა ვერაა შესაფერ დონეზე დაყენებული და თავის პირდაპირ ამოცანას ვერ ასრულებს სავსებით ჯერ-ჯერობით. მას ბევრი ნაკლულევანება აქვს და ეს გამოსწორებულ და შევსებულ უნდა იქნეს აუცილებლათ. პრესის გაუმჯობესება ჩვენი დროის დამრტყმელ ამოცანათ უნდა იქნეს მიჩნეული და რაც შეიძლება მალე სისრულეში მოყვანილი.

დღეს ჩვენს პრესას ეჭირვება უდიდესი ყურადღების მიქცევა სათანადო ორგანოების მიერ, რათა ის შესაფერის და საჩქარო პასუხს იძლეოდეს იმ საჭირბოროტო კითხვებზე, რომლებსაც ასე უხვად აყენებს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება.

ეს კიდევ უფრო აშკარა და ნათელი გახდება ჩვენთვის დღეს, თუ წარმოვიდგენთ და ნათლათ გავითვალისწინებთ იმ სპეციფიურ წრესა და პირობებს, რომლებშიაც უხდება მას თავისი მუშაობის წარმოება.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ეს წრე და პირობები მოწამლულია მენშევიზმითა და ნაციონალიზმით, რომელსაც თესავდენ ათეული წლების განმავლობაში მენშევიკები და სხვა და სხვა ჯურის რეაქციონერი ნაციონალისტები. ამ მხრივ ჩვენი პირობები რომ რუსეთისას შევადაროთ, მივიღებთ იმას, რომ აქ, ჩვენში უფრო მეტი სიძნელე და სირთულე ყოფილა და დაბრკოლებებიც მეტია გადასალახავი, ჯერ ერთი, თუ რუსეთში გაცილებით უფრო მეტი იყო და არის უპარტიოთა რაოდენობის პროცენტი მუშათა და გლეხთა წრეებში, რომლებიც მხოლოთ დახმარებას თუ უჩენდენ საბჭოთა ხელისუფლებას, თორემ მის წინააღმდეგ არ გამოდიოდენ, ჩვენში სულ წინააღმდეგს ვხედავთ: აქ უფრო მეტად არიან პოლიტიკურათ ჩამოყალიბებული მუშები და უპარტიოთა რაოდენობის პროცენტი გაცილებით უფრო ნაკლებია. ეს გარემოება კი, რასაკვირველია, აძნელებს ჩვენს აგიტატურ და პროპაგანდისტულ მუშაობას და მოითხოვს ჩვენგან, რაც შეიძლება მეტი ენერგიის დახარჯვას.

მეორეთ. აქ, ჩვენში, საბჭოთა ხელისუფლებას ყავს კიდევ მეორე მტერი, რომელიც არ ყოლია ასეთი სიძლიერით საბჭოთა რუსეთს. ესაა ნაციონალიზმი. ქართველი ერი წინეთ დამორჩილებული და დამონებული ყავდა თვითმპყრობელურ რუსეთს, რომელიც ახშობდა და გასაქანს არ აძლევდა მის ყოველგვარ განვითარებას. ასეთი მდგომარეობა საუკეთესო პოხიერი ნიადაგი იყო ჩვენი რეაქციონურ ნაციონალისტების და მათ მაჩანჩალა ჩვენი მენშევიკებისათვის, რათა უხვათ ეპნიათ და ეთესათ ნაციონალიზმის მოწამლული თესლები. ამას არ შეეძლო, რასაკვირველია, არ გამოეღო რამდენიმეთ მაინც თავის შედეგები. და დღეს გვიხდება ჩვენ სასტიკი ბრძოლის წარმოება, ამ ნაციონალისტური ავადმყოფობის ძირფესვიანად აღმოფხვრა და ამ სენის მიერ მიყენებულ ტკივილების მოშუშება. ასეთს ავადმყოფობას არ ქონია ადგილი რუსეთის მუშებს შორის და არც შეიძლებოდა ქონებოდა, ვინაიდან რუსის მუშამ თავიდანვე არ იცოდა გამოცდილებით თუ რა იყო ნაციონალური ჩაგვრა და შევიწროვება, მათში არ ყოფილა სამისო პოხიერი ნიადაგი და, რასაკვირველია, ვერც ეს ავადმყოფობის თესლი დაითესებოდა. ამიტომ იქ ბრძოლაც ნაციონალიზმის წინააღმდეგ გაცილებით და მეტად იოლი იყო. ჩვენში კი ამ ბრძოლას დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული და მომავალშიაც ექნება.

ამიტომ, როგორც ზემოდ ვთქვით, ყველა ამ გარემოებათა წყალობით კომუნისტების სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა ძალიან რთული და საძნელო ხდება, მ გრამ მით უფრო მეტ უნარის და ენერგიის გამოჩენა გვმართებს ჩვენ და უპირველესათ ყოვლისა კი ჩვენს პრესას, რომელიც ჩვენი იდეების გამტარებელი უნდა იყოს პირდაპირ მუშათა მასის გულში.

მაგრამ, როგორც ვთქვით მას ბევრი ნაკლულევანება აქვს, და ეს რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს შევსებული და გამოსწორებული.

პირველი, ჩვენი პრესა რაც შეიძლება მეტად უნდა იქნეს გაუმჯობესებული თავის შინაარსით: მართალია პასუხისმგებელი ამხანაგები გართული არიან დიდ საქმეებში, ბევრი საპასუხისმგებლო საქმე აწევთ თავზე, მაგრამ თითეულმა მათგანმა კვირაში ორი საათი მაინც უნდა გადასდოს გაზეთისთვის და მით შეძლება მისცეს რედაქციას გაუადვილოს მუშაობა და ღირსეულათ შეასრულოს თავისი მოვალეობა. ამას გარდა თითეული სახალხო კომისარიატი უნდა აძლევდეს მიმოხილვას იმისას, თუ რა გააკეთა მან და რა სარგებლობა მოუტანა საბჭოთა რესპუბლიკას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, რათა მუშებმა და გლეხებმა აშკარათ დაინახონ, თუ როგორ მუშაობას ეწევიან მათი ხელისუფლებანი და ღირსეულათ დააფასონ მათი ნამოღვაწარი.

შემდეგ, გაზეთებს უნდა ყავდეთ თითო კორესპონდენტი ყოველ ფაბრიკასა და ქარხანაში და საერთოდ ყოველ საწარმოვო დაწესებულებაში თითონ მუშებისაგან, რომლებიც სწორ და ნამდვილ ცნობებს მიაწოდებენ რედაქციებს, როგორც მუშების მდგომარეობის შესახებ, ისე თითეული დაწესებულების ნაყოფიერ მუშაობის შესახებ. ამ გვარათ, თითეულ ფაბრიკასა თუ ქარხანაში და სხვა დაწესებულებებში იქნეს, ასე ვთქვათ, კანტროლიორი, რომელიც მეთვალყურე იქნება იმისი, თუ რა ხდება იქ და აღნიშნავს, როგორც მისი დადებითი მხარეებს, ისე უარყოფითსაც, როგორც შექებას, ისე კრიტიკასაც. ამით ერთი და იმავე დროს ორი დიდი საქმე გაკეთდება. ერთი რომ გაზეთებს მჭიდრო კავშირი ექნება გაბმული მუშათა მასასთან, რომლებსაც ის იდეურათ უნდა ხელმძღვანელობდეს, და მეორეთ, დადებით მუშაობაც ქარხანა-ფაბრიკებსა და დაწესებულებებში უფრო მოიმატებს.

მეორეთ გაზეთების ტირაჟი, რაც შეიძლება გაზრდილ უნდა იქნეს. საქმე იქამდის უნდა დავიყვანოთ, რომ თითეული მუშა და ღარიბი გლეხი, რომლებმაც კი იციან წაკითხვა, უნდა კითხულობდეს ცენტრალურ კომიტეტის ორგანოს. რასაკვირველია დღეს-დღეობით ამის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ უნდა შევეცადოთ კი მთელი ჩვენი ძალ-ღონით. ამისათვის კი უნდა დავიწყოთ კამპანია პრესის გარშემო და ჩავაბათ შიგ რაც შეიძლება მეტად თვით მუშები და გლეხები. ასეთ ზომას მამართავდენ და მიმართავენ დღესაც რუსეთში და ის ნაყოფიერ შედეგსაც იძლევა.

ამასთანავე, რასაკვირველია, ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ გაზეთზე მომუშავეთა მატერიალური პირობები გაუმჯობესებელი უნდა იქნეს, რათა თითეულ გაზეთის მუშაკი უზრუნველყოფილათ გრძნობდეს თავს და მთელი თავისი ძალღონე მოანდომოს პრესის გაუმჯობესებას და მის საუცხოვე ნიადაგზე დაყენებას.

ამ რიგათ, პრესაზე დაკისრებული დიდი მოვალეობა დიდ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვს ჩვენგან და ჩვენი სათანადო ცენტრალურ ორგანოებისაგან.

და ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მორიგი ლოზუნგი უნდა იყოს დღეს: მეტი ყურადღება პრესას, მეტი დახმარება მას იმ ამოცანის შესრულებაში რომელიც დაკისრებული აქვს მას, რათა 5 მაისისათვის, პრესის დღისათვის, კარგათ დაყენებული ბეჭდვითი ორგანო გვქონდეს ჩვენ.

ქ. კომუნაძე.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ბელგიელები უკმაყოფილო არიან.

მანჰეიმი, 10 თებერვალი. პარიზში გარეშე საქმეთა სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ბელგიის მთავრობა რურის ოლქში საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას სთვლის უშედეგოთ, რაც უკვე აცნობეს საფრანგეთის მთავრობას. ამ ჟამათ სწარმოებს მოლაპარაკება ბელგიის და საფრანგეთის მთავრობებს შორის საერთო მოქმედების შესახებ.

მდგომარეობა არ უკეთესდება.

მანჰეიმი. 10 თებ. კელნის რაიონში რკინის გზის მდგომარეობა უცვლელია; ასეთივე მდგომარეობაა რეინლანდის და პფალცის რაიონებში. მაინცის რაიონი სრულიად არ მოქმედობს.

დ იწყებ ინჟინერთა კომისიის დაცვით. დაამთავრეს სამხედრო და პოლიტიკური ოკუპაციით.

მანჰეიმი. 10 თებერვ. ინგლისის პრესა უფრო და უფრო სასტიკად ილაშქრებს რურის ოკუპაციის წინააღმდეგ, ვინაიდან განზრახულ ინჟინერთა კომისიის დაცვის ნაცვლად ადგილი აქვს გერმანიის ტერიტორიის სრულ სამხედრო და პოლიტიკურ ოკუპაციას.

სიძვირე იზრდება.

მანჰეიმი, 10 თებ. რურის ოლქში სიძვირე თანდათანობით იზრდება. 27 იანვრიდან ფასები გაიზარდა 250 პროც. ფასები ზეთის პროდუქტებზე გაიზარდა 400 პროც.

საფრანგეთის მემაღაროები ეხმარებიან.

ნანსი, 10 თებ. მოზელის საფრანგეთის რაიონების მემაღაროებმა გადასწყვიტეს პროტესტის ნიშნად გამოაცხადონ გაფიცვა.

წინააღმდეგობა ძლიერდება.

რომი. 10 თებერვალი. რურში გერმანელ მოხელეების წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდება. რკინის გზელთა საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. საბოტაჟის შემთხვევებში საფრანგეთის ჯარები ძალას მიმართავენ.

შვეიცარია

ბორდო. 10 თებერვ. პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, ეროვნულ საბჭოში სოციალისტ გრიმმის შეკითხვის საპასუხოდ, ევროპის ეკონომიური მდგომარეობისადმი შვეიცარიის პოზიციის შესახებ აღნიშნა, რომ ფედერალურ მთავრობის პოლიტიკა ადგა იმ პოზიციას, რომელიც აირჩია ერთა ლიგამ თავის უკანასკნელ სესიაზე.

ოკუპანტების წინ წაწევა.

მანჰეიმი. 10 თებერვ. 8 თებერვალს ფრანგები შეიჭრნენ ბადენის ოლქში და დაიკავეს გერმანიის ორი პუნქტი.

პირველი გამარჯვება.

მანჰეიმი. 10 თებერვალი. კელნიდან იტყობინებიან, რომ 8 თებერვალს ფრანგებმა პირველათ შესძლეს გაეტანათ ბელგიაში სამი ვაგონი კოკსით დატვირთული მიუნხენ-გლაუბახის რკინის გზების ხაზზე.

მატარებლების შეპყრობა.

მანჰეიმი. 10 თებერვ. რურის ოლქის ზოგიერთ სადგურებში ფრანგების მიერ შეპყრობილია სამგზავრო მატარებლები, კერძოთ ბერნის და ვანნის ოლქებში. ვანში ფრანგების მიერ მოკლულია მემანქანე. მოგზაურები, რომლებთა შორის იყვნენ ამერიკელი ქალები, იძულებულნი შეიქმნენ თავისი ბარგი დაეტოვებინათ მატარებელში. შეერთებულ შტატებიდან გამოგზავნილი ფოსტა ფულით იქნა დაკავებული. გერმანიის სასტიკი პროტესტის შემდეგ სადგური იქნა განთავისუფლებული ჯარებიდან.

პრეზიდენტს უკრძალავენ მიმართოს ხალხს

მანჰეიმი. 10 თებერვ. გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწოდების ხალხში გავრცელება აკრძალულია ფრანგების მიერ.

ლოზანის კონფერენცია

დელეგაციების უკან დაბრუნება.

მოსკოვი. 10 თებერვალი. 7 თებერვალს ოსმალეთის დელეგაციის დიდმა ნაწილმა ისმეტ-ფაშას მეთაურობით დასტოვა ლოზანა და გაემგზავრა ანგორაში.

რუსეთის დელეგაცია გაემგზავრა 2 საათის შემდეგ.

გამგზავრების წინ ისმეტ-ფაშამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის დაბრუნდება ლოზანაში დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ საზავო ხელშეკრულებისათვის ხელის მოსაწერად.

პუანკარე უარს ამბობს ცნობების მიცემაზე.

მანჰეიმი, 10 თებერვალი. პუანკარემ განუცხადა გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს რომ მას არ აქვს განზრახული ამჟამად მისცეს მას ლოზანას კონფერენციაზე გატარებული პოლიტიკის განმარტებები.

პალატის სასწრაფო სხდომა.

მანჰეიმი. 10 თებ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში დანიშნულია სასწრაფო სხდომა იმის გამო, რომ მთავრობის პოლიტიკის შესახებ. განმარტებების მიცემაზე, პუანკარემ უარი განაცხადა.

საერთო ფრონტით ოსმალეთის წინააღმდეგ.

ანგორა. 3 თებ. სმირნის ჟურნალისტებთან საუბრის დროს მუსტაფა ქემალმა განაცხადა: ქინიანობა ანტანტის სახელმწიფოების, რომლებიც თავიანთი მოთხოვნილებებით ფეხქვეშ სთელავდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, იწვევს მთელი ქვეყნის გაკვირვებას. შეკითხვაზე, ხალხის ხელისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ—ქემალმა სთქვა: „კონსტიტუციის მიხედვით მთელი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნის ერს და არავითარ ცვლილებას ამ მხრივ ადგილი არ ექნება“.

ახლო აღმოსავლეთში

ქემალ ფაშის განცხადება.

მოსკოვი. 10 თებერვალი. ლოზანას კონფერენციის ჩაშლის გამო ქემალ ფაშამ განაცხადა, რომ დიპლომატიის ცდამ დადებითი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ოსმალეთის ჯარში.

მოსკოვი. 10 თებერვალი. შვებულებაში წასული ოსმალეთის ოფიცრები გამოწვეული არიან ჯარში.

ოსმალები და მოკავშირეები.

მოსკოვი. 10 თებერვალი. ოსმალებმა წინადადება მისცეს ყველა მოკავშირეთა გემებს, რომელთა წყლის მოცულობა 1000 ტონს აღემატება, დასტოვონ სმირნის ნავთსადგური. იმ შემთხვევაში, თუ გემები არ წავლენ 8 თებერვლის შუაღამემდე ანგორის მთავრობა მიიღებს სათანადო ზომებს. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინეპოლში საერთო პროტესტი განუცხადეს ანგორის მთავრობას და აცნობეს, რომ თავიანთ მთავრობებისაგან სათანადო ინსტრუქციის მიღებამდე მათ არ შეუძლიათ დაემორჩილონ ოსმალეთის ხელისუფლების განკარგულებას. კომისრებმა პასუხისმგებლობა შესაძლო გართულებებისათვის დააკისრეს ოსმალეთს. სმირნაში გაიგზავნა ინგლისის კრეისერი.

ამერიკა და ოსმალეთი.

მოსკოვი. 10 თებერვალი. მოლაპარაკება ამერიკასა და ოსმალეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ გრძელდება მიუხედავად ლოზანას კონფერენციის ჩაშლისა. ამერიკის მთავრობის მიერ შემუშავებული ხელშეკრულების პროექტი გულისხმობს სხვა და სხვა სავაჭრო პრივილეგიებს ამერიკისათვის და მთელ რიგ რელიგიოზურ და კულტურულ გარანტიებს ოსმალეთში მცხოვრებ ამერიკის ქვეშევრდომთათვის.

მუსტაფა ქემალის სიტყვა.

მოსკოვი. 10 თებერვალი. ქემალ ფაშამ სიტყვაში, რომელიც მან ბრუსაში წარმოსთქვა, აღნიშნა, რომ დანგრეულ ოლქების აღსადგენად და ოსმალეთის მრეწველობის შესაქმნელად საჭიროა უცხოეთის კაპიტალის მოწვევა, მაგრამ ეს მოწვევა არ უნდა იყოს საზიანო ოსმალეთისათვის. „უნდა გვახსოვდეს, სთქვა ქემალმა, რომ ინდოეთი დაღუპა ინგლისის სავაჭრო კომპანიების კონცესიებმა“. მუსტაფა ქემალმა შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობამ გაიღო 2 ნახ. მილიონი ლირა მიწად-იოქმედების და საქონლის მოშენების განვითარებისათვის.

ზავის საკითხის შესახებ ქემალმა სთქვა: „ზავი ჩვენთვის საჭიროა ისევე, როგორც ჩვენი მტრებისათვის. მათ იმედი აქვთ, რომ ჩვენი რევოლუცია დამარცხებით დამთავრდება და ამიტომ აჭიანურებენ ზავის დადებას. თუ ომი განახლდა, პასუხისმგებლობა ეკისრება მათ, ვინც ცდილობს ჩვენს დამცირებას და დამონ ბას. ჩვენ უარვყავით სულთანის რეჟიმი, დავღვარეთ სისხლი არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ შიგნით სახელმწიფოშიც რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ძლიერნი ვართ და არ გვეშინია ჩვენი მტრების. ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს“.

სიმართლე საფრანგეთის შესახებ.

ანგორა 3 თებერვალი. უკანასკნელ დროს ანგორის პრესამ მიიღო სასტიკი ტონი საფრანგეთის მიმართ. ყველა წერილებში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი წარმოადგენს არა მარტო ლაქიას ინგლისის, არამედ მას ემჩნევა აგრეთვე მტრული განწყობილება განსაკუთრებით სატინანსო საკითხებში. ლაპარაკობენ ტყუილზე, რომელიც ჩაიდინა ფრანკლინ ბუიონმა. „ენიგიუნ“-ი იგონებს, რომ საფრანგეთი მომხრე იყო ბერძნების ანატოლიაში გაგზავნის. გაზეთი აღნიშნავს: საფრანგეთს წინანდებურად სურს ოსმალეთის დასუსტება და სირიისათვის მემკვიდრეობით ქონებათ გადაქცევა. ლოზანაში საფრანგეთი ჯერ ჩვენ გვამშვიდებდა, ხოლო ეხლა უფსკრულისაკენ მიგვაქანებს. ფრანგებმა საბოლოოდ დაჰკარგეს პრესტიჟი აღმოსავლეთში.

გაზეთ „ენი გიუნ“-ში 30 იანვრის ნომერში ნათქვამია: „საფრანგეთის მთავრობა წარმოადგენს სათამაშოს კაპიტალისტების ხელში. ჩვენი აღშფოთება საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოშობილია იმ ნიადაგზე, რომ ჩვენ მის მიერ მოტყუებული დავრჩით. საფრანგეთს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთს ძალები არ მოეპოვება, რომ ჩვენ გვაიძულოს ყველა პირობების მიღება. თუ ომი იფიქრებს, მას მოჰყვება ჩაგრულ ერებზე იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბატონობის დანგრევა. დასასრულ გაზეთი ლაპარაკობს: საფრანგეთს ადგილი არ აქვს სირიაში ისევე, როგორც პალესტინაში და ეგვიპტეში.

მუსტაფა-ქემალი ოსმალო ქალის სწორუფლებიანობის შესახებ.

ანგორა. 5 თებერვალი. მუსტაფაქემალმა თავის სიტყვებში წამოაყენა ოსმალეთში ქალთა სწორუფლებიანობის აუცილებლობა: სმირნაში ის გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც დაესწრენ ქალები. ანატოლიის სააგენტოს მოჰყავს მუსტაფა-ქემალის სიტყვები ინგლისელ კორესპოდენტ ქალისადმი: „ოსმალეთში ქალები ჩამოიხდიან ჩადრებს“.

გამოვიდა რა მიტინგზე სმირნაში, მუსტაფა-ქემალმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოსმალეთის ყველა უბედობანი სოციალურ წყობილებაში წარმოშობილია ქალებისადმი უყურადღებობით.

მან განაცხადა: თუ სოციალური ორგანიზმის ერთი ნახევარი შეჩერებულია, მაშინ მეორეც უმოქმედოთ რჩება. ქალები და კაცები თანაბრად განვითარებული უნდა იყვნენ“, დასასრულ მუსტაფა-ქემალმა, სურვილი გამოსთქვა, რომ მისი სიტყვები ქალების შესახებ უნდა შევიდეს ოსმალეთის მთავრობის პროგრამაში.

იზმიდის ნავთსადგურის დახურვა.

მანჰეიმი. 10 თებერვალი. ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს დახუროს უცხოეთ გემებისათვის იზმიდის ნავთსადგური, როგორც სმირნის ნავთსადგური დახურა.

ამერიკა არ უერთდება პროტესტს.

მანჰეიმი. 10 თებერვალი. ამერიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ის არ უერთდება მოკავშირე სახელმწიფოთა პროტესტს უცხოეთ გემებისათვის სმირნის ნავთსადგურის დახურვის წინააღმდეგ.

ე რ თ ა ლ ი გ ა

კომისიების სხდომები.

ბორდო, 10 თებ. შეიარაღების შემცირების შეერთებულ დროებით კომისიის სხდომა ჰქონდა ვივიანის თავმჯდომარეობით. იმართება სხდომები 3 ქვე-კომისიაში, რომლებიც ხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) კერძო, სამხედრო წარმოება და შეიარაღების საერთაშორისო კონტროლი; მთავრობის პასუხი ნაციონალური თავდაცვის საჭიროების შესახებ და 3) სტატისტიკური ანკეტა და სამხედრო ხარჯების განსაზღვრა 1915 წ. ციფრებით.

მინისტრების გეგმას, რომელიც განხილული იყო 1922 წელს, ამ ჟამად კვლავ იხილავენ.

მემელის საკითხი

მემელის მთავრობის გადადგომა.

ბორდო. 10 თებ. ლიტვის მთავრობა იჩენს შეთანხმების სურვილს. ორი თვის უკან თავმჯდომარე სმეტანმა დაიწყო მოლაპარაკება მემელის მთავრობის მეთაურებთან, რომელიც თითქოს მზათ არის გადადგეს, რომ შექმნას მისაღები მთავრობა.

ლიტვის მთავრობის პასუხი.

მოსკოვი. 10 თებერვ. 7 თებერვალს ლიტვის მთავრობამ პასუხი გასცა ანტანტის კომისიის ულტიმატუმზე მემელის საკითხის შესახებ. თავის პასუხში ლიტვის მთავრობა დაპირებას იძლევა მოახდინოს მორალური ზეგავლენა ლიტვის საზოგადოებრივ აზრზე და აჯანყების ორგანიზატორებზე მოსალოდნელ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და ანტანტის ავტორიტეტის აღსადგენად მემელში. ლიტვის მთავრობა ფიქრობს, რომ სასურველი შედეგი შეიძლება იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემელიდან გაწვეულ იქნებიან წარმომადგენლები და აგრეთვე, თუ იქნება იმის გარანტიები, რომ მემელის საკითხი განიხილება მემელის და ლიტვის მცხოვრებთა სურვილის თანახმად.

სხვადასხვა ამბები

ჩიჩერინის ჩასვლა ბერლინში.

მოსკოვი. 10 თებერვალი 6 თებერვალს ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა ბერლინში.

მუშების დემონსტრაცია გელსინგფორსში.

მოსკოვი. 10 თებერვალი. გელსინგფორსში მუშების კრებებზე და დემონსტრაციებზე ფინეთის პროლეტარული რევოლიუციის წლის თავზე მონაწილეობას იღებდა 10.000 კაცი.

უმუშევრობა ლატვიაში:

მოსკოვი. 10 თებერვალი. უმუშევრობა ლატვიაში ძლიერდება. უმუშევართა რიცხვი 20.000-მდე აღწევს. იგის ბირჟაზე აღრიცხულია 4.000 უმუშევარი, 4 პროცენტით მეტი წარსულ წელზე. უმუშევართა მდგომარეობა საშინელია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სრულიად რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის იაჩეიკების კონკურსი.

მოსკოვი. 10 თებერვ. სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომ. კავშირის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა გამართოს თებერვალში და მარტში კავშირის იაჩეიკების სრულიად რუსეთის კონკურსი. საუკეთესოთ ჩაითვლება ის იაჩეიკები, რომლებმაც საუკეთესოთ ჩაატარეს საქარხნო და საფაბრიკო სკოლების ორგანიზაცია, ახალგაზრდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი მუშაობა, იაჩეიკები რომლებსაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვთ უპარტიო ახალგაზრდობასთან და გაუწიეს დახმარება ფლოტს.

კოპერნიკის დაბადების 450 წლის თავი.

მოსკოვი. 10 თებერვ. 19 მარტს კოპერნიკის დაბადების 450 წლის თავის შესრულების გამო რ. კომ. ახალგაზრდობის კავშირის ც. კ-მ დაადგინა. მოაწყოს საღამოები კოპერნიკის და მისი მიმდევრების ჯიორდანო ბრუნოსა და გალილეის საპატივცემულოთ და საპლანეტო სისტემის შესახებ ცოდნების გასავრცელებლათ.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე 2 რე ყრილობა

(მე-7 სხდომა)

ყრილობის უკანასკნელი სხდომა შესდგა საღამოს, 9 თებერვალს ამხ. ქაცარავას თავმჯდომარეობით. ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა დელეგატები არიან არჩეულნი კანონიერად და მიცემული აქვთ კანონიერი მანდატები. კავშირში ირიცხება 10,000-მდე წევრი. უნდა გამოცხადებულიყო 100 დელეგატი. გამოცხადდა სულ 109 დელეგატი, მათ შორის 95 გადამწყვეტი და 14 სათათბირო ხმით. პარტიულ მიმართულების მიხედვით, გადამწყვეტი ხმით: კომუნისტი—44. ახალ. კომკავშ. წევრი.—1. ანარქ. კომ.—2. კომ. პარტ. თანამგრძნობი—5. მემარც. ფედ.—3 მემარჯ. ფედ.—2. უპარტიო—38.

განათლების ცენზი: უმაღლეს სწავლა დამთავ.—35. საშუალოთი—69. დაბალით—5. სამანდატო კომისიის ანგარიში დამტკიცებულ იქნა ყრილობის მიერ ერთხმად, ერთი ხმის წინააღმდეგ.

გამგეობის არჩევნები.

შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით ყრილობის მიერ მიღებულ იქნა კომუნისტურ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ცენტრალურ გამგეობის წევრთა სია შემდეგი პირების შემადგენლობით:

1. შავერდოვა, 2. მ ძმარიაშვილი, 3. გეგენავა, 4. შიუკაშვილი, 5. კაცარავა, 6. ოჩკინი, 7. თედეევი, 8. ჩხარტიშვილი, 9. ჩერკაშინი, 10. ლუდუშაური, 11. ქაჯარავა, 12. შახნაზაროვი, 13. დარახველიძე, 14. კვირკველია, 15. თალაკვაძე, 16. სმირნოვი, 17. კიკნაძე, 18. გურსკი, 19. მამიტაშვილი, 20. ჭუმბურიძე.

კანდიდატები.

1. კობახიძე, 2. ცხაკაია, 3. მეგრელიძე, 4. ვოლკოვი, 5. კვაჭაძე.

სარევიზიო კომისიაში:

დიდი ხმის უმრალესობით არჩეულ იქმნენ: 1. ამირეჯიბი, 2. დიდიძე, 3. კოლიუბაკინა, 4. ლევიცკი, 5. ასლანოვი, 6. სუხოვი.

არჩევნების შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუციები:

რეზოლიუცია კავშირის ცენტრ. გამგეობის ანგარიშის შესახებ.

მოისმინა რა ამხ. გეგენოვას მოხსენება ცენტრალურ გამგეობის მოღვაწეობის შესახებ, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-2 ყრილობა აღიარებს, რომ ცენტრ. გამგეობა, უეჭველათ, ადგა სწორ გზას საკავშირო მუშაობაში და როგორც საორგანიზაციო და სატარიფო-ეკონომიური, აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჩატარებულია დამაკმაყოფილებლათ, მაგრამ, აღნიშნავს რა ცენტრ. გამგეობის მიერ ადგილებით სუსტ ხელმძღვანელობას მათთან და კავშირის უქონლობას, ყრილობა კატეგორიულათ ავალებს ახალ გამგეობას-მოაწყოს და განამტკიცოს ადგილებთან კავშირი, მათი ხელმძღვანელობა, და მზრუნველობის განსაკუთრებულ საგნათ დაისახოს საერთოდ განათლების მუშაკთა და განსაკუთრებით კი ტეხნიკურ მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობა.

რეზოლიუცია სახალხო განათლების კომისარის მოხსენების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. კანდელაკის მოხსენება სახალხო განათლების კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა აღნიშნავს, რომ მიუხედავათ კომისარიატის მუშაობისათვის არა ხელსაყრელ პირობებისა, საორგანიზაციო-საადმინისტრაციო მუშაობა შესრულებულია დასაკმაყოფილებლათ და იდეოლოგიური ხაზი სახალხო განათლების კომისარიატის მიერ აღებულია სწორათ.

ღებულობს რა მხედველობაში სახალხო განათლების კომისარიატის მატერიალური მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესებას, ყრილობა სთვლის აუცილებელ საჭიროებათ:

1. განმანათლებელ დაწესებულებების ქსელის გაფართოვებას საერთოთ და კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოში.

2. განათლების დაწესებულებებში მეთოდიურ და იდეურ-პოლიტიკურ მუშაობის გამტკიცებას და გაღრმავებას.

3. განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მომზადებისა და ხელახლად მომზადების მიზნით, ახალ პედაგოგიურ აზრის მოთხოვნილების თანახმად საჭიროა მოეწყოს მთელ რესპუბლიკაში კურსების, პედაგოგიური თათბირებისა და ყრილობების მთელი რიგი.

4. ყრილობა მიზანშეწონილად სთვლის განათლების მუშაკთა ჩაბმას ფართო წრეების მუშაობაში მათი კოლექტიურ შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენების მიზნით როგორც ორგანიზაციულ, ისე სამეცნიერო-პედაგოგიურ საკითხებში. ყრილობა კატეგორიულად მოითხოვს სახალხო განათლების კომისარიატისა და განათლების მუშაკთა შორის უკვე არსებულ ნორმალურ ურთიერთობის განმტკიცებას და გაღრმავებას.

რეზოლიუცია კავშირის ამოცანებისათვის მოხსენების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. შავერდოვას მოხსენება კავშირის უახლოეს ამოცანების შესახებ, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-2-რე ყრილობა ადგენს: მოხსენება მიღებულ იქნას მხედველობაში, თეზისები იქნას დამტკიცებული და დაედვას საფუძვლად ახალი ცენტრალურ გამგეობის მომავალ მუშაობას.

ყრილობის მუშაობის დამთავრებისას მთელ მუშაობას ჯამს უკეთებენ ამხ. ქაცარავა და ყურულაშვილი, რომლებიც აღნიშნავენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც აწარმოვა გამგეობამ. თუ პირველ ხანებში მუშაობა სუსტი იყო, შემდეგში ის თანდათან გაძლიერდა და გაუმჯობესდა. ობიექტიურად მოაზროვნე მასწავლებლობამ ღირსეულად დააფასა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მთელი თავისი ენერგიით ებრძვის უკულტურობას და ცდილობს აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. მასწავლებლობა ჩაბმულია პროფესიონალურ მუშაობაში და თანამშრომლობს ჩვენთან საერთო მიზნებისათვის—სწავლა-განათლების საქმისათვის. საინტერესო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლები, რომლებიც იმყოფებიან ჩვენ ყრილობაზე, ისეთი შურით და მტრობით აღარ უყურებენ ერთი მეორეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყოფილ მთავრობების დროს. ეს არის შედეგი საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის და მისი ბრწყინვალე გამარჯვების. დღეს მას დამკრავ ამოცანად დაუსახავს კულტურის ფრონტი და თქვენი, პატიოსან მუშაკების დახმარებით, ამ ფრონტზედაც გაიმარჯვებს ისე, როგორც სხვა ფრონტებზე.

გაუმარჯოს ჩვენს ყრილობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ჩვენს თანხმობითი მუშაობას!

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

მუშათა ფაკულტეტი

ბურჟუაზიას და ფეოდალებს, მათი ბატონობის დროს, როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთში სიბნელის ბრჭალებში ჰყავდათ ჩაჭერილი მშრომელი ხალხი და სწავლა-განათლებით, აღჭურვილი მხოლოდ შეძლებული კლასი იყო. მშრომელი ხალხისათვის კი ყველგან დახშული იყო. როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლების კარები.

სამისო სახსარი მას არ გააჩნდა. ოქტომბრის რევოლიუციამ ძირ-ფესვიანად მოსპო და მიწასთან გაასწორა შეძლებული კლასის ბატონობა ყოველივე დარგში და, ცხადია, პროლეტარული რევოლიუცია ხელ-უხლებელს არც მეცნიერების ტაძრებს დასტოვებდა და მასაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და ზოგ ალაგას კი ახალს შექმნიდა. ეს ასეც მოხდა. ოქტომბრის რევოლიუციამ საშუალება მისცა უსწავლელ მუშებს შეეძინათ როგორც საშუალო, აგრეთვე უმაღლესი ცოდნაც.

საბჭოთა მთავრობის მიერ გახსნილ იქნა ბევრნაირი სახის სასწავლებლები და განსაკუთრებით კი მუშათა ფაკულტეტები, სადაც სამ წელიწადში მუშა შეიძენს საშუალო ცოდნას, რის შემდეგაც პირდაპირ შევა მეცნიერების უმაღლეს ტაძარში, უნივერსიტეტში.

საქართ. საბჭოთა მთავრობამ 1921 წელში გახსნა ასეთი მუშათა ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან და დღეს უკვე მეტად სამაგალითო მუშათა სასწავლებლებს წარმოადგენს, სადაც დიდი ხალისით სწარმოებს მშრომელ გლეხის შვილებისა და ქალაქის მუშების გონებრივი განვითარება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზედ ამ ჟამად ირიცხება 306 მსმენელი, ამათგან 37 ქალია.

მსმენელები წარმოგზავნილი არიან პროფკავშირებიდან, პარტ-ორგანიზაციებიდან, ახ. კავშირიდან, მაზრ. პროფ. ბიუროებიდან და სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან შემდეგი განაწილებით: 1) კომპარტიისაგან 61 კაცი, ამათ რიცხვში მაზრებიდან: გორის—2, სვანეთიდან—5, ლეჩხუმიდან—1, რაჭიდან—1, ოზურგეთიდან—2, შორაპნიდან—1. სულ პროვინციიდან—12 კაცი: ახ. კომკავშირიდან—41 კაცი. ამ რიცხვში ქუთაისიდან—2, აფხაზეთ.—1, დუშეთის მაზრიდან—2, ზუგდიდის მაზრიდან—1, გორის მაზრიდან—2, ლეჩხუმის მაზრ.—2, სენაკის მაზრ.5, ფოთიდან—3, სიღნაღ. მაზრ.—1, ოზურგეთიდან—1, თელავის მაზრ.—1, თიანეთ. მაზრ.—1. სულ პროვინციიდან ახ. კ. კ. 22 კაცი. მაზრ. პროფ ბიუროებიდან 10 კაცი. ამ რიცხვში—დუშეთიდან—2, თელავიდან—1, ოზურგეთიდან—1, სენაკიდან—1, ქუთაისიდან—1, რაჭიდან—2, გორიდან—1 სენაკის მაზრიდან—1. ცენტრალურ პროფკავშირებიდან: 1) რკინის გზის კავშირიდან—74, 2) სახალხო გამოკვების კავშირიდან—26, 3) საბჭოთა მუშაკების კავშირიდან—25, 4) ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირადან—24, 5) პოლიგრაფ. მუშ. კავშირიდან 3, 6) საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირიდან — 9, 7) მიწა-ტყის კავშირიდან — 4, 8) მკერავთა კავშირიდან — 5, 9) ტრანსპორტის მუშათა კავშირიდან—11, 10) კომუნალური წარმოების კავშ.—6, 11) განათლების მუშ. კავშირ.—1, 12) სურსათ-გემოვნების კავშ.—3, 13) მელითონეებისაგან—12, 14) ქიმიკოსთა კავშ.—1, 15) ავტო-ნაწილისაგან—1, 16) მუშა-აღმშენებელთა კავშ.—1, 17) მბეჭდავთა კავშ.—1, 18) პარიკმახერების კავშ.—1, 19) ქალთა კავშ.—4, 20) საქსოვ-მრეწველ კავშ.—2, ბოლოს სხვა და სხვა დაწესებულებებიდან: საქართ. საგანგებო კომისიისაგან—2, ქართულ წითელ ლაშქრიდან—22, მაზრების ალმასკომებიდან—4, ოზურგეთის—1. ხაშურის—1, გურჯაანის—1, ერთიც სვირის ალმასკომისგან. მთლათ ყველა მსმენელთა რიცხვი არის 306. ამ რიცხვიდან თბილისზე მოდის 258, დანარჩენი 48 კაცი კი არიან პროვინციიდან. ფაკულტეტში მსმენელები მეცადინეობენ ჯგუფებად. სულ არის სამი ჯგუფი და ერთი მოსამზადებელი განყოფილება. მსმენელები კი არიან განაწილებული ზემო-აღნიშნულ ჯგუფებში შემდეგნაირათ: მოსამზადებელ განყოფილებაში ირიცხება 48 მსმენ., 1—1 ჯგუფი—28. 1—2 ჯგუფ.—29. 1—3 ჯგუფ. 35. 1—4 ჯგუფიდან—25,1—5 ჯგუფიდან 28 მსმენელი; II—1 ჯგ.—38, II—2 ჯგ.—22, III—1 ჯგ—38, III—2 ჯგ.—25 მსმენელი. ამათგან 56 კაცი არის ჩარიცხული 1921 წ. სამოსწავლო წლიდან, დანარჩენი 250 მსმენელი კი ირიცხება სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკზე. 1922-23 წლ. მუშ. ფაკულტეტზე სტიპენდიით სარგებლობს მთლათ 74 კ. ამათგან რკინისგზელები არიან: ბათუმიდან—8, სამტრედიიდან—5. ფოთიდან—1, ქუთაისიდან—2, ხაშურიდან—8. დანარჩენი მოდის პროვინციაზე: სვანეთიდან—4, ზუგდიდიდან—1, სენაკიდან—7, ფოთიდან—6, ოზურგეთიდან—3, ქუთაისის მაზრიდან—4, ლეჩხუმის მაზრ.—2, შორაპნის მაზრ.—2, სოხუმიდან—1, რაჭის მაზრ.—2, გორის მაზრ.—5, დუშეთის მაზრ.—4, თიანეთის მაზრ.—1, თელავის მაზრ.—2, სამტრედიიდან—2, თბილისის მაზრ.—4. დანარჩენი მსმენელები კი არ სარგებლობენ სტიპენდიით, რადგანაც ისინი თბილისის მუშებია, მათ აქვთ მუდმივი სამუშაო, მხოლოთ სამსახურის შემდეგ სასწავლებელში მეცადინეობენ.

იმ მსმენელებისათვის, რომლებიც სტიპენდიას ღებულობენ, აგრეთვე არის საერთო საცხოვრებელი ბინა, რაც მშვენივრად მოწყობილია. მთლათ საერთო საცხოვრებელ ბინაში სცხოვრობს 60 მსმენელი. მსმენელთა პოლიტიკური მიმართულება შემდეგია: 65 კ. კომუნისტი, 41 კ. ა. კ. წევრი. 1 კაცი სოც. ფედერალისტი და დანარჩენი 199 კ. კი უპარტიონი.

მუშ-ფაკზედ გამოცდა წელიწადში ორჯელ ხდება, იანვრის თვეში და აპრილის თვის დამლევს. რაც აადვილებს კურსის ჩქარა გავლას. მუშფაკზე ირიცხება 37 მასწავლებელი. საჭიროთ მიმაჩნია ამ წერილის ბოლოს ავღნიშნო შემდეგი: პირველი ის, რომ ძლიერი ხშირად აკლდებიან ამა თუ იმ საგნის ლექტორები, რაც ძლიერ აფერხებს მეცადინეობას, და საჭიროა ამას ბოლო მოეღოს; მეორე კი ის, რომ განათლების კომისარიატს გადაუწყვეტია ეხლანდელ მუშფაკის ბინის გამოცვლა და მუშფაკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბინაზე გადატანა, რაც როგორც ჩემი, ისე მთელი მსმენელების აზრით, შეუძლებელია სხვა და სხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო და იმედი არის, ამას ანგარიშს გაუწევს უმაღლესი ორგანო. უკეთესია მუშფაკი ისევ ძველ ბინაზე იქნას დატოვებული.

ვ. ლაფანაშვილი.

აფერისტ სმოლსკის პროცესი

(მეოთხე სხდომის გაგრძელება).

სმოლსკიმ განაცხადა, რომ თვისი ძველი გვარი „პეშკო“ მას არ მოსწონდა და ამის გამო მან გვარი გამოიცვალა—სმოლსკად. ამ საქმეს მე თვითონ ვაწარმოებდი ორ თვის განმავლობაში საგანგებო განყოფილების უფროსის კვეიეშის ბრძანებით.

მბრალმდებელი: როდის და რამდენი ხნის შემდეგ გამოგიტყდათ თქვეა სმოლსკი?

გულბისი: მან განაცხადა, რომ მე დაჭერილი ყოფილ ვიყავი, ერთი დღის შემდეგ ყველა ის საბუთები, რომელნიც აღმოჩენილ იქნენ „სარაიაში“, მისმიერ მოსპობილ იქნებოდა.

ბრალმდებელი: თავის მონაწილეთა შესახებ ის რამეს გეუბნებოდათ თქვენა?

გულბისი: არა.

ბრალდებელი: არ იყო შემთხვევები, რომ სმოლსკი ღელავდა ამ გვარ დაკითხვების დროს?

გულბისი: დაკითხვის დროს მას მგონი ცრემლებიც წამოუვიდა, ვინაიდან საკითხი ეხებოდა მისი ყოფნა—არ ყოფნას.

მესხიშვილი: როდესაც თქვენ მოითხოვდით სმოლსკისგან, რომ მას დაეწერა თავისი ავტო-ბიოგრაფია, ის ამაზე უარს ამბობდა?

გულბისი: მე კი არ მოვითხოვდი ამას სმოლსკისაგან, არამედ თვით საგანგებო განყოფილების გამგე—კვეიეში.

მესხიშვილი: რამდენჯერ მოსთხოვეს სმოლსკის, რომ მას დაეწერა თავისი ბიოგრაფია?

გულბისი: ერთხელ მგონი, თუ მახსოვრება არ მღალატობს.

დაკითხული მოწმე ერქომაიშვილი აცხადებს, რომ სმოლსკში და კონდრატიევში ის ხედავს იმ მოძალადეებს, რომელნიც თავიანთ ტერორისტულ მოქცევით თავზარს სცემდნენ სასურკომის პასუხისმგებელ მუშაკებს, რომელთანაც ისინი რამოდენჯერმე მოდიოდნენ თავის მკაცრი მოთხოვნილებებით.

სასურკომის თანამშრომლები, თავზარდაცემულნი, ამის გამო ხშირად მიმართავდნენ მას, როგორც დაწესებულების უფროსს და მოითხოვდნენ მისგან მათი დაცვას ამ დაუპატიჟებელ პირებისაგან, რომელნიც სრულიად რუსეთის საგანკომის წარმომადგენლობას კისრულობდნენ თავის თავზე და ძალიან თავგასულად იქცეოდნენ.

ამის გამო მან (ერქომაიშვილმა) გასცა განკარგულება, რათა მას ყოველი ამ გვარი შემთხვევა მოხსენებოდა მაშინათვე.

ასეთი შემთხვევა კიდევაც მიეცა მას. ერთხელ მასთან, კაბინეტში, შემოიყვანეს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც თავისთავს უწოდებდა რუსეთის საგანკომის თავისუფალ რაზმის თანამშრომელს. „ეს ყმაწვილი პირველად ძალიან თავგასულობას იჩენდა, მაგრამ როდესაც მან „იგრძნო ჩვენი კატეგორიული წინააღმდეგობა“, ის ძალიან მოლბა. „იმას ბრალდებელთა შორის მე აღარ ვხედავ“, ამბობს ამხ. ერქომაიშვილი და მგონი, რომ ის დღემდე დაჭერილიც არ არის“.

პანკრატოვი: როდის დაგებადათ თქვენ ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს პირნი ბოროტმომქმედნი არიან?

ერქომაიშვილი: იმის შემდეგ, რაც ჩემმა თანამშრომლებმა განმიცხადეს მე მათი თავგასული მოქცევაზე თანამშრომლებისადმი, მაგრამ ამ ბოროტმომქმედებმა სასურკომში ადრე ფეხი მოიტეხეს. მათ საუბედუროდ ერთხელ ჩემთან მოვიდა ამიერ-კავკასიის საგანგომის რწმუნებულის მოადგილე გასიულისი, რომელიც მთხოვდა მე, ჩამერიცხა მათი თანამშრომლებიც სახელმწიფოს მომარაგებაზე. მე ძალიან გამაკვირვა გასიულისის ამგვარ მომართვამ, ვინაიდან აღნიშნული თანამშრომლები უკვე ჩარიცხული იყვნენ სახელმ. მომარაგებაზე. ამხ. გასიულისმა მიპასუხა, რომ არავითარი რუსეთის საგანკომის შერეული რაზმი არ არსებობს, გარეშე მის (გასიულისის) განკარგულებისა და ამის შემდეგ მან მთხოვა, რომ მეჩვენებინა მისთვის ის წერილობითი მომართვანი, რომლებიც ისინი ღებულობდნენ ჩვენგან ულუფას.

ჩვენ მაშინათვე გადავეცით გასიულისს საჭირო საბუთები და ის შეუდგა საქმის ვითარების გამოკვლევას, რას შემდეგ მოჰყვა ბოროტ-მომქმედთა დატუსაღება“.

შეკითხვაზე, როგორ იქცეოდნენ სასურკომში თვით სმოლსკი და კონდრატიევი, ერქომაიშვილი უპასუხებს, რომ პირველ ხანებში თვით სმოლსკი დიდ-თავგასულ გაბედულებას იჩენდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მან ორჯერ მიიღო ჩვენგან ნებართვა, ის ძალიან მოლბა და კიდევაც გვეფერებოდა და კომისარიატის მდივანს ისე დაუახლოვდა, რომ ელაპარაკებოდა „შენ“-ობით. რაც შეეხება კონდრატიევს, ის ყოველთვის ურჩობას და უდიერო იჩენდა და ისე იქცეოდა, რომ გვ ნებოდათ საგანკომის რაზმი ძა დაზიანდებოდა ულუფის ერთი თის დაგვიანებით.

კონდრატიევი სთხოვს მოწმეს, თა მან მოახსენოს სასამართლო რამდენჯერ მან ნახა ისინი.

ამხ. ადანაია. მე ვნახე კონდრა ტიევი ერთხელ. მან ჩუმათ მითხ „სწორედ ეს არის იმ დაწესებულე ბის ერთი იმათთაგანი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ ტერორს ეწევა თავის მოქმედებებით. სმოლსკიც ვნახე ერთ ხელ მდივნის კაბინეტში, რომელმა მითითებით სთქვა მასზე: „ერთი იმათ თაგანი, რომელიც გვაწუხებს ჩვენ იმისგან იყო მოცემული ერთი ნებ თვა მოსკოვში, მეორე კი—როსტ ში. თბილისიდან გაგზავნილ ლე ხორბალზე გაცვლის შესახებ ას ნებართვა გაცემული იყო ოთხი.

ბრალმდებელი. მოწამე ერქომა შვილმა განაცხადა, რომ ერთი დ ნაშავეთაგანი არ არის ბრალდებ თა შორის და ამისათვის გთხ გამოიძახოთ მოწამე სედრაკი კ როვი.

კომენდანტი იძახებს მოწმეთა ო ხიდან კოჩაროვსა.

თავმჯდომარე: ეს ხომ არ არის

ერქომაიშვილი: არა.

მოწამე ფატალი სადიკოვის ზამან ზამანოვის დაკითხვა ხდ თარჯიმანის დახმარებით მუსულ ნურ ენიდან რუსულზე.

სადიკოვი (ვაჭარი) და ზამანო მანი არიან აგენტები, რომლ მიყვებიან მოსკოვში გაგზავნილ ქარს.

მშრომელთა მიტინგი ქ. გორში

9 თებერვალს ქ. გორში შესდგა მშრომელთა მიტინგი. ასეთი მრავალრიცხვოვანი კრება იშვიათია ქართლის დედაქალაქისთვის. მიუხედავათ იმისა, რომ მიტინგი ნაუცფათევად იყო დანიშნული (მხოლოდ წინა დღით გაიგზავნა მაზრის რაიონებში ცნობა), აუარებელი მშრომელი გლეხობა დაიძრა თვით შორეულ კუთხეებიდან (მაგ. ტყვიავის რაიონი) და მიტინგს ჩამოუსწრო. ადვილი ასახსნელია ასეთი ცხოველი ინტერესი: მიტინგის დღის წესრიგში იდგა საკითხი მიწის რეფორმის გაზაფხულისთვის დამთავრების შესახებ. მშრომელ გლეხობისათვის ამ სასიცოცხლო, გადაუდებელ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. საჭირო არაა ამ მოხსენების შინაარსის თუნდა მოკლეთაც გადმოცემა: საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მსმენელთა მშრომელი ნაწილი სიხარულისაგან თითქო აფრენას აპირებდა, სამაგიეროთ, მსმენელთა მეორე, სულ მცირე ნაწილი, ყოფილი თავადები და ვაჭარ-სპეკულიანტები თავჩაქინდრული იდგენ, უქეიფობას გრძნობდენ, ქვესკნელის ჭიშკრის გაღების მოლოდინში. მოხსენებას გამოეხმაურენ მაზრის შორეულ კუთხეებიდან ჩამოსუ გლეხობა: უნდა გენახათ და მოგის ნათ ეს ცხვრის ტყავში გახვეუ „გაუთლელი ტეტრები“, როგორი ა ფრთოვანებით, თან დინჯათ და ს რისიანათ უდგებოდენ მიწის საკ ხის რევოლიუციურად გადაჭრას. ერ მა გლეხმა გალექსული მიწის პრ გრამით მიმართა მიტინგს, ლექს სუსხიანი პამფლეტი გამოდგა ყოფ მემამულეების წინააღმდეგ.

ქართლის მშრომელი გლეხი იმ თება წელში, თითქმის გამართუ საბჭოთა ხელისუფლების დახმარებ ის სავსებით გაიმართება და მით ს კუნო საფლავი გაეთხრება ბრწყინ ლე წოდებას.

მეორე მოხსენება გააკეთა ამხ. მია ორახელაშვილმა ევროპის მდგ მარეობაზე რურის ოლქის ოკუპა ის შემდეგ. ვრცლად შეჩერდა მენ ვიკების მხოხავ პოლიტიკაზე და ა კარეს წინაშე ლაქიობაზე.

მიტინგმა მიიღო ორივე მოხს ბის გამო რეზოლიუციები და და ლა მტკიცე გადაწყვეტილებით, 15 მარტამდის დათავებულ იქნეს წის რეფორმა.

ამხ. ვ. ონიანის ხსოვნას

გულის შემზარავმა ცნობამ მოახწია ჩვენამდის ვასილ ონიანი მოჰკლეს, ის აღარ არის, ეს დიდი სამწუხარო ამბავია ყველა იმ ამხანაგებისათვის, ვინც იცნობდა ქვემო სვანეთს, მის მკვიდოთ და ამხ. ვასილ ონიანის მოღვაწეობას ამ კუთხეში.

ამხანაგი ვასილი იყო ქვემო სვანეთის ერთი ღარიბი გლეხთაგანი. უსწავლელი, მაგრამ დიდი ავტ ტეტის მქონე, ის იყო ერთად ე სვანი, რომელიც ყოველთვის და ველგან პირველ რიგში იდგა; მთელის სულით და გულით, მ თავისი სასოებით ემსახურებოდა ჭოთა ხელისუფლების გამტკ გამაგრებას, ის მუდამ მაგალითი თავის თანამოძმეთათვის მთავრო

საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის თავზე

(თეზისები 1923 წ. 25 თებერვლისათვის)

1. 25 თებერვალს სრულდება 2 წელი საქართველოს გასაბჭოების დღიდან. 25 თებერვალი საქართველოს მუშათა და გლეხთა ცხოვრებაში ითვლება უდიდეს დღეთ. ამ დღეს საქართველოს მუშები და გლეხები ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფლდენ კაპიტალის ბატონობისაგან, დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების და მენშევიკების უღლისაგან. სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველმა ყრილობამ დაადგინა 25 თებერვალი აღიაროს **სახეიმო დღეთ და დღესასწაულად საქართველოს მშრომელთათვის.**

2. მენშევიკების ხელისუფლების სათავეში ყოფნის 3 წლის განმავლობაში საქართველოს მუშების და გლეხებისათვის არაფერი არ გაკეთებულა. გლეხობამ არ მიიღო მიწა, რომელსაც მას მენშევიკები დაპირდენ. მენშევიკებმა თავის ბატონობის დროს ვერ მოახერხეს დაემყარებიათ ქვეყანაში შინაური და საგარეო მშვიდობიანობა. მათ მიაღწიეს იმას, რომ მტრულ განწყობილებაში იყვენ არა მარტო საბჭოთა რუსეთთან, არამედ ყველა მეზობელ რესპუბლიკებთან. მათ უკიდურესობამდე გაამწვავეს ურთიერთობა საქართველოს ხალხთა შორის, მათი ნაციონალისტური პოლიტიკის წყალობით არა ერთხელ დამთავრებულა საქმე სისხლის მღვრელი შეტაკებებით ნაციონალურ ნიადაგზე (სომხეთ-საქართველოს ომი, შეტაკება აჭარასთან, აფხაზეთთან და სხვა).

3. სოციალურ დარგში მენშევიკები მხარს უჭერდენ ბურჟუაზიულ წესწყობილების დაცვას. ისინი საჭიროთ სთვლიდენ ბურჟუაზიის ბატონობა დაეფარათ „დემოკრატიული რესპუბლიკით“, რომელიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ დაგვანახვა, არის მხოლოდ იარაღი გაბატონებულ კაპიტალისტურ ხროვას ხელში. მენშევიკები ყოველგვარი საშუალებით აფერხებდენ მშრომელთა ბრძოლას დამჩაგვრელთა წინააღმდეგ, ხელს უშლიდენ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. მენშევიკები, იდგენ რა ბურჟუაზიულ წესწყობილების შეურყევლობის ნიადაგზე, ყოველი ძალ-ღონით იცავდენ წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, ძირშივე ჰკლავდენ მუშების და გლეხების ყოველ ცდას გამოსულიყვენ მათი მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით აქრობდნენ აჯანყებებს, რომელიც თითქმის 3 ნახ. წლის განმავლობაში არ შეჩერებულა, სანამ გახალგურეულმა და დატანჯულმა მუშებმა და გლეხებმა არ ჩამოიგდეს მენშევიკების უღელი, მუშების და გლეხების წინააღმდეგ მენშევიკები აწარმოებდენ დაუზოგავ სამოქალაქო ომს. მენშევიკებთან ბრძოლაში იმედ დაკარგულმა მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა რუსეთის მოძმე მუშების და გლეხების დახმარებით **აღმართეს აჯანყების დროშა და განთავისუფლდენ მენშევიკების უღლისაგან.**

4. მენშევიკებს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ქონდათ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებთან (პირველად გერმანელები და შემდეგ ინგლისელები) და მათი დახმარებით აქრობდენ გლეხთა დაუსრულებელ აჯანყებას. ყველა მუშებს ახსოვთ ინგლისელების აქ ბატონობა, როდესაც უკანასკნელები იტაცებდენ საქართველოს მშრომელთა სიმდიდრეს, დანაშაულებრივ მენშევიკურ მთავრობის ლოცვა-კურთხევით. მენშევიკებმა საქართველო ინგლისელების პლაცდარმათ გადააქციეს საბჭოთა რუსეთზე შეტევის საწარმოებლად. მაგრამ მუშების რევოლიუციონურმა ქარტეხილმა ალგავა პირისაგან მიწისა მენშევიკები და მათი პატრონები.

5. მენშევიკური ხელისუფლებამ, პანიკით იხვევდენ რა ისინი უკან და უფრთხოდენ რა მუშების რისხვას როგორც უბრალო ყაჩაღებმა გაიტაცეს თან მშრომელთა უკანასკნელი ქონება. მენშევიკები არ დამშვიდდენ და იმყოფებიან რა საზღვარ გარეთ. იქიდანაც არ ანებებენ თავს თავი ლონებს საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

2 წლის განმავლობაში მენშევიკები აწარმოებდენ და დღესაც აწარმოებენ დაუღალავ მუშაობას მთელ ევროპაში. მეორე ინტერნაციონალმა და [illegible] სულით და გულით მიიღეს ისინი, მენშევიკები დღემდის ატუზულნი არიან მუშათა კლასის სისხლისმსმელ ჯალათების (პუანკარეს, ლოიდ-ჯორჯის და სხვ.) კარებთან, და პოლიტიკური მრწამსის განურჩევლად, შავებს, თეთრებს და წითლებს სთხოვენ მოწყალებას და დახმარებას დასახრჩობად...

6. განსაკუთრებული სიცხადით გამოირჩევა მენშევიკების კლასიური ბუნება გენუის კონფერენციის მომენტში. მათთვის ეს იყო გადამწყვეტი შეტაკების მომენტი. მენშევიკების ყალბი ინფორმაციის და ცილის წამების საშუალებით, სურდათ მიეღწიათ თავის ბოროტი მიზნებისათვის და მოხერხებულად გამოიყენეს „სრულიად საქართველოს“ პატრიარქის ამბროსის მოწოდება.

იმისათვის, რომ გენუას კონფერენციაზე შეეძინათ კაპიტალი, მენშევიკებმა მოაწყვეს ყოფილ მეფის ოფიცერის თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდიტური გამოსვლა, მაგრამ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ზიზღით შეაქციეს ზურგი თავის „კეთილის მსურველს“, ყოფილ თავადს და ჩქარა ალაგმეს იგი. მენშევიკები ყოვ. თავადის ჩოლოყაშვილის ბანდიტურ გამოსვლებს საყოველთაო ხალხის აჯანყებად ნათლავდნენ.

მენშევიკების პარტია თავის სახელმწიფოებრივ პროგრამას საფუძვლად უდებს იმპერიალისტურ ინტერვენციას, მასში არ არის სოციალიზმის და კლასთა სოლიდარობის ნასახი. ყოფილი ძალა-უფლების დაბრუნება სისხლის-მღვრელ ინტერვენციის საშუალებით—აი მათი მიზანი.

ყველა მენშევიკური მჯღაბნელები საზღვარ-გარეთ და აქ საქართველოში ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საქართველო ოკუპაციით არის დაკავებული რუსეთის მიერ, რომ ხელისუფლება საქართველოში ხიშტებზეა დამყარებული და ხალხი გმინავს საოკუპაციო მთავრობის უღლის ქვეშ, მაგრამ ეს ჭორები აღარავის აჯერა გარდა გაშიშვლებულ კონტრ-რევოლიუციონერებისა.

რამდენჯერ არ შეეცადენ მენშევიკები მოეწყოთ აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენჯერ არ შეეცადენ მუშათა გაფიცვების მოწყობას, მაგრამ ამას ისინი ვერ მოახერხებდენ, მუშებს და გლეხებს ძალიან კარგათ ესმით ვინ არის მათი ინტერესების ნამდვილი დამცველები. მენშევიკებმა ვერ მოახერხეს ვერც ერთი სერიოზული გამოსვლის მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. და თუ ამის მზგავსი იყო რამ, ეს იყო მოსწავლე ახალგაზრდობის და სტუდენტების ნაწილის უმწეო გამოსვლები. მენშევიკები დღესაც განაგრძობენ თავის დანაშაულებრივ აგიტაციის წარმოებას როგორც ევროპაში, ისე აქ, საქართველოში—არალეგალურად. არავინ მათ არ უგონებს. ისინი დარჩენ უარმიო ღენერლებათ. ასეთი ღენერლების ბედი ყველასათვის ცნობილია.

7. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 2 წლის განმავლობაში მუშები და გლეხები ეწევიან—თავისუფალ, მშვიდობიან შრომას და წყევლა-კრულვით იგონებენ მენშევიკების ბატონობის ხანას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მშვიდობიანობა არც ქვეყნის შიგნივ და არც მის გარეთ ერთი წუთითაც არ დარღვეულა. მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მოახერხა ძირითად კარდინალურ საკითხების გადაწყვეტა. დამყარებულია ეროვნული მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიის ყველა ერებს შორის.

ამიერ-კავკასიის ეროვნებათა შორის მჭიდრო კავშირი და მეგობრობა ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შექმნის ფორმაში.

საბჭოთა რუსეთთან დადებულია მჭიდრო და ძმური კავშირი. ამის საჭიროება დაანახვა მუშებს და გლეხებს კლასიურმა შეგნებამ და გაერთიანებულ ძალ-ღონით ბრძოლის აუცილებლობამ მსოფლიო მტაცებელთა მენშევიკების, დაშნაკელების, ესერების, მუსავატების და სხვ. წინააღმდეგ.

მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 2 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა. მუშათა კლასისათვის დაწესებულია ხელფასის მინიმუმი, შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის დარგში შემოღებულია ნამდვილი მუშათა კანონმდებლობა.

საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიურ კავშირის წყალობით საქართველოს მუშები უზრუნველყოფილი არიან პურით და სხვა პროდუქტებით.

საბინაო საკითხი გადაწყვეტილია მუშების ინტერესების მიხედვით. ბატონების დიდებულ სასახლეებიდან გადასახლებულნი არიან ბურჟუები. ეს სახლები დათმობილი აქვთ მუშებს. შენდება ახალი სახლები მუშებისათვის (მუშათა მოსახლეობა თბილისში). განათებულია მუშათა რაიონები, გახსნილია უფასო სკოლები მუშათა ბავშვებისათვის, ბავშთა და ახალგაზრდობის აღზრდას მიქცეული აქვს სერიოზული ყურადღება, გახსნილია ასეული საბავშვო სახლები, სადაც სრულიად უსასყიდლოთ ბავშვები სარგებლობენ ყოველგვარ კმაყოფით. მუშათა მთავრობა ძალიან დიდ საშუალებას ახმარს ღარიბ გლეხთა აღზრდას და შენახვას.

9. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 2 წლის განმავლობაში განათლებას მოხმარდა ძალების და ენერგიის მაქსიმუმი. სწარმოებს ტეხნიკური წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოზრდილ მცხოვრებთა შორის. აუარებელი ლიტერატურა უსასყიდლოთ ვრცელდება მშრომელთა შორის. იხსნება ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, კლუბები და სახალხო სახლები. მოწყობილია მუშათა ფაკულტეტები, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მუშები იღებენ განათლებას. მუშათა კლასის მისწრაფება ცოდნის შეძენისათვის ამ ჟამად ძლიერია.

მიღებულია ყოველივე ზომები იმისათვის, რათა მუშები და გლეხები საბოლოოდ [illegible] სიბნელისა და უვიცობისაგან. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს, რაც მისგან არის დამოკიდებული. ახლო მომავალში მუშები და გლეხები დაიპყრობენ მეცნიერებას, სკოლებს, უნივერსიტეტს, მაშინ მათ არავითარი შიში არ ექნებათ კაპიტალის, მენშევიკების და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერების მუქარის.

10. საბჭოთა ხელისუფლება ამ ორი წლის განმავლობაში ყოველივე ზომებს ღებულობდა დანგრეულ სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის. საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით გლეხობა თვითვე შეუდგა თავისი მეურნეობის აღდგენას.

მას დიდი ენტუზიაზმით გაჰყავს გზები, აშენებს ხიდებს, აშრობს ჭაობებს, გაჰყავს სარწყავი არხები.

თუ მენშევიკების დროს გლეხები საყოველთაო აჯანყებებს აწყობდენ მიწების გამო, საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ ნიადაგზე ადგილი არ ჰქონია არა თუ აჯანყებას, არამედ უბრალო უკმაყოფილებასაც.

1922 წ. ზაფხულში სასურსათო გადასახადის აკრების ნიადაგზე მენშევიკებმა მოინდომეს აემხედრებიათ გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხებმა სამარისებური სიჩუმით უპასუხეს მათ. მენშევიკები სასტიკად დამარცხდნენ სასურსათო გადასახადის საწინააღმდეგო აგიტაციაში. გლეხები არასოდეს ენდობოდენ მენშევიკებს და ცხადია, რომ მენშევიკურ აგიტაციას ყურიც არ ათხოვეს.

მშრომელთა მასები საბოლოოდ დარწმუნდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილი მათი ხელისუფლებაა. ის ენერგიულად იცავს მათ ინტერესებს. ორი წლის განმავლობაში ყველაზე უმთავრესი გაკეთებულია, ბევრია კიდევ გასაკეთებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ კაპიტალი და კაპიტალის ლაქიები საქართველოს მშრომელთა მასებს არ მოასვენებენ. საჭირო იქნება კიდევ მრავალი რევოლიუციონური ბრძოლები.

11. მიწის კანონმდებლობის და გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სფეროში საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, შესაძლებლობის ფარგლებში. მიწები გადაეცა გლეხობას ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დაწესებისას. ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად ადევნებდა თვალყურს მიწის კანონის ცხოვრებაში სისწრაფით გატარებას. ამ ახლო ხანებში ცაკის მეორე სესიაზე აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ნაწილებში მემამულეებმა მოახერხეს და შეინარჩუნეს მიწები ნორმაზე მეტი. სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ ყველა ყოფილ თავადებს და მემამულეებს უსათუოდ ჩამოერთვას ყველა მიწები და სახლები ნორმაზე მეტი.

ერთი სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების მთელი ღონისძიება მიმართულია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე დახმარებას უწევდა გლეხობას გაჭირვების დროს. 1922 წ. ზაფხულში, როდესაც გლეხობას თავს დაატყდა სტიქიური უბედურება—სიმშილი, მუშათა და გლეხთა მთავრობამ მას გაუწია დახმარება—მან დაარიგა დაალოვებით 600,000 ფუთი პურეულობა.

12. საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის არსებობის განმავლობაში მშრომელთა ღონისძიებით საქართველოს მეურნეობა ფეხზე დადგა. შეკეთებული იყო და ამუშავებული ფაბრიკები და ქარხნები (ჭიათურის ქარხანა და საფეიქრო ფაბრიკა ქუთაისში, რომლის მოწყობილობა მიღებული იყო მოსკოვიდან).

მრეწველობის და ინდუსტრიის აღორძინებას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ტეხნიკის, ინდუსტრიის განვითარების გარეშე—არ არის სოციალიზმი, არ არის კომუნიზმი. ინდუსტრიის განვითარება წარმოუდგენელია ელექტრონის ენერგიის გარეშე. ამხ. **ლენინის** გენიალური აზრი—„საბჭოთა ხელისუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია, მივიღებთ კომუნიზმს“-ო—ხორციელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

(ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგება ტფილისში და რესპუბლიკის სხვა ადგილებში).

13. საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში მტკიცე საფუძველი აქვს. მან თავისი ორი წლის არსებობის განმავლობაში მშრომელებს თავიდან ააცილა მობილიზაცია, რომელიც მუდამ დამღუპველ გავლენას ახდენდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ამას. მან იშვილა რუსეთის სახელოვანი წითელი არმია და მისი დახმარებით იცავს რესპუბლიკის საზღვრებს ყოველგვარი იმპერიალისტების და მათი დამქაშების—მენშევიკებისაგან.

წითელი-არმია ვინტოვკით ხელში იცავს მშრომელთა ცხოვრებას და ქონებას.

მისი დახმარებით სახელმწიფოში დამყარდა სასტიკი წესრიგი და რევოლიუციონური კანონიერება.

წითელი-არმია, გარდა იმისა, რომ ის იარაღით ხელში იცავდა საქართველოს მშრომელთა ინტერესებს, ყოველგვარ დახმარებას უწევდა მშრომელებს სახელმწიფოს დანგრეულ სასოფლო-მეურნეობის აღდგენის საქმეში. ის აწყობდა გრანდიოზულ ა თობას მშრომელთა სასარგებლ ხნავდა ღარიბ გლეხების მიწებს, აძ ლევდა სახნისების და სხვა მიწ მოქმედების იარაღების შეკეთებ უფასოდ და სხვ. და სხვ. და ამის გა არც ერთს სახელმწიფოში არ ა სებობს ისეთი ძმური, მეგობრ კავშირი და სიყვარული მშრომელ და ჯარისკაცებს შორის, როგორ არის როგორც საბჭოთა საქართ ლოში, ისე საბჭოთა ფედერაციაშ

საბჭოთა ხელისუფლების ყველ ლები მიმართული იყო წითელი მის მატერიალური მდგომარე გაუმჯობესებისაკენ და მომავალ საქართველოს მშრომელები ამ მხ გააკეთებენ ყველაფერს შეძლების გვარად, რათა **სახელოვანი წით არმია** უზრუნველყონ ყოველ მხრ

14. საერთაშორისო მდგომარ კვლავ რთულდება. მსოფლიო ბ ჟუაზია ყველა ფრონტზე იწყებ ტევას. გრძნობს რა აღსასრულის ახლოვებას, ის სცდილობს უშვე თავის თავს. ამ ჟამად გააფთრებ ბრძოლა სწარმოებს დასავლეთში შათა კლასსა და კაპიტალს შორის ბრძოლაში საქართველოს მუშები გლეხები მთელი ფედერაციის მშ მელთა მასებთან ერთად იტყვიან ვიანთ გადაჭრილ სიტყვას... ა მომავალში მოსალოდნელია ბურ ზიული ომები, რომელსაც მოაქვს მშილი და განადგურება მუშათა კ სისათვის.

ევროპის და ამერიკის რევოლ ციონურ მუშების ყურადღება საბ თა ფედერაციისაკენ არის მიქცეუ

საქართველოს მუშები და გლ 25 თებერვალს მთელს მსოფლიოს დასძახებენ:

ჩვენ ვართ საბჭოთა ფედერაც მუშებთან ერთად. სიკვდილი კ ტალს და მის ლაქიებს!

სიკვდილი ბურჟუაზიას!

გაუმარჯოს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელის ლებას საქართველოში!

გაუმარჯოს მსოფლიოს წი არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელი ლებას მთელს მსოფლიოში?

საქართველოს კომპარტიის ც საგიტაციო-საპროპაგანდო გან ფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პარტიის ყოველ დანაკისრ საქმის განხორციელება შესრულებაში.

მე არ შეუდგები აქ იმ ღვაწლის ჩამოთვლას, რაც მიუძღვის ამხ. ვასილს. ამაზე შეიძლება მთელი წიგნი დაწერილიყო. მე მხოლოდ მწუხარებით აღვნიშნავ რომ ამხანაგ ვასილში ჩვენ დავკარგეთ ერთი იშვიათთაგანი, შეძლებული, თავდადებული და მშრომელთა შორის ავტორიტეტის მქონე ამხანაგი მთელ ქვემო სვანეთი.

ამხანაგი ვასილი იყო წევრი ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომ პარტკომის, ის იყო ერთად ერთი ხელმძღვანელი მთელი ქვემო სვანეთის მშრომელი გლეხობის.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ დაჰკარგეს მასში ის პიროვნება მთელ ქვემო სვანეთში, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი დიადი იდეების განხორციელებისათვის. მისმა წვრილმა ცოლშვილმა კი, ერთად ერთი მარჩენალი მშრომელი ხელი.

მშვიდობით ამხანაგო ვასილ. შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველა შენ ნაცნობ ამხანაგებში.

ა. ბზეკალავა.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე. 7 თებერვალს ისევ დაიწია ფასმა ყუბანის ხორბლის ფქვილზე. მტკიცეა ფასი რაფინანდის შაქარზე. შეუცვლელია ფასი ფხვნილ შაქარზე. ბაზარზე გამოვიდა საზღვარ-გარეთელი მრავალ ფერის შევრო და ხრომი.

ფასები დაახლოებით შემდეგია: ყუბანის ხორბლის გაცრილი ფქვილი 700—750 მანეთი ფუთი, გაწმენდილი ხორბალი 440—500 მანეთი, ადგილობრივი ქერი 270—300 მან., სიმინდის ყვითელი ფქვილი 270—280 მ., ადგილობრივი ხორბლის ფქვილი 450—460 მან., სიმინდის თეთრი ფქვილი 400 მან., ჰოლანდიური რაფინანდის ნატეხი შაქრის ყუთი 3 ტომრით 30 ოსმალური ქაღალდის ლირა, ფხვნილი შაქრის ფუთი 5,70—5,80 ოსმალური ქაღალდის ლირა, ნარმა ს. ს. ს. „სობ. გოლ.“ 40 იარდი 20-20, 50 ოსმალური ქაღალდის ლირა, საზღვარ-გარეთელი ჩითი იარდი 25—31 პიასტრი, რუსული ჩითი არშინი 130 მან. ფრანგული სატინი მეტრი 55—110 პიასტრი, რუსული სატინის არშინი 180 მან. საზღვარ-გარეთელი მადეპალამი იარდი 50 პიასტრი, მარსელის საპონი 50 კილო 24 ოსმალური ქაღელდის ლირა. მარმალილოს საპონი ფუთი 2,600—2,800 მანეთი.

კოოპერაცია

საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს

სავალდებულო დადგენილება კოოპერატიულ ორგანიზაციების შესახებ № 1.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 24 იანვარს 1923 წელს გამოცემულ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციათა საყურადღებოთ აცხადებს შემდეგს:

1. შეჩერებული მუშაობა ადგილობრივათ მრავალ-დუქნიანი კოოპერატივების შესაქმნელად, გაგრძელდეს; ეს მუშაობა აუცილებლათ უნდა სწარმოებდეს ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით.

2. რაიონული კავშირები ჯერ-ჯერობით განაგრძობენ არსებობას იურიდიული პიროვნების უფლებებით და იმ ფუნქციების შესრულებით, რომელსაც ისინი აქამდე ასრულებდნენ:

სამეურნეო დარგში: ამზადებენ ადგილობრივ ნაწარმოებს, როგორც ცენტრის დავალებით, ისე საკუთარი ინიციატივით—ერთის მხრით და მეორეს მხრით—ანაწილებენ საქონელს, როგორც ცენტრიდან მიღებულს, ისე საკუთარი ინიციატივით დამზადებულს. ამასთან ერთად კავშირები ითვლებიან თავის სამოქმედო რაიონის საორგანიზაციო ცენტრათ; ხელმძღვანელობენ მრავალ-დუქნიანი კოოპერატივის შენებას, ეწევიან აგიტაციას საპაიო თანხის გასადიდებლათ და სხვა.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი.

პირველი სასურსათო თათბირი

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატთან

(სხდომა მეორე—გაგრძელება)

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში **ამხ. ერქომაიშვილი** თავის სიტყვაში უპასუხებს ამხ. ბუკრეევს და შემდეგ მოსაზრებებს გამოსთქვამს: ამხ. ბუკრეევის მიერ წარმოდგენილი მეთოდი საქართველოს სინამდვილისათვის უვარგებელია. მთელი გულისყური იქით უნდა იქნას მიპყრობილი, რომ გასახადი რაც შეიძლება სამართლიანად გაწერილი და ეს გადასახადი ნამდვილად აკრებილ იქნეს. მცხოვრებთა გადახდის უნარის გამოსარკვევად ამხ. ბუკრეევი გვირჩევს დათესილ მიწების სივრცის ცნობაში მოყვანას და სოფლების სიების შედგენას. ეს მეთოდი პრინციპიალურად მისაღებია, მაგრამ საქმე იმაშია, რამდენად იგი სწორედ იქნება გატარებული ადგილებში და რამდენად შესაძლებელი იქნება ზედმიწევნით ცნობების მიღება გადასახადის სწორედ და სამართლიანად გასაწერად. ასეთი სისტემის დროს შესაძლებელია, რომ ერთნაირი რაოდენობის გადასახადი შეაწერონ ორ მეურნეობას, რომელთაც ხუთ-ხუთი დესეტინა მიწა აქვთ, მაგრამ ერთი მეურნეობა ხუთის სულისაგან შესდგება, მეორე კი ორისაგან. მაშასადამე, ასეთ შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მჭამელთა აღრიცხვაც, რაიც განზრახული ყოფილა აზერბეიჯანშიც, მაგრამ ამხ. ბურკეევის სიტყვით, აღარ განუხორციელებიათ სტატისტიკის ცუდად დაყენების წყალობით. ასეთი შეცდომები შეუძლებელია იმ მეთოდის დროს, რომელიც მიღებულია საქართველოში, სადაც თვით სოფლის მოსახლე ბა ანაწილებს გადასახადს თვითეულ გადამხდელზე თავის სოფელში. მიუღებელია სხვა კულტურების (გარდა მარცვლეულის) ფულით დაბეგვრაც. რა საბუთით უნდა შეადგინდეს ფულადი გადასახადი სასურსათო კომისარიატისა და არა ფინანსთა კომისარიატის ფუნქციებს? ამას გარდა ასეთი მეთოდი ეწინააღმდეგება მთლიან ნატურ-გადასახადის ცნებას.. ნატურ-გადასახადი გამონგარიშებული უნდა იქნეს ხორბლეულის ერთეულით, მაგრამ აღნუსხულნი და დაბეგვრილი უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობის სხვა კულტურები და პროდუქტებიც და გამორკვეული უნდა იქნეს მათი ეკვიალენტი ხორბლეულის მიმართ. ამას გარდა მოსახლეობას უნდა მოეთხოვოს არა განსაკუთრებით ხორბლეულის გადახდა კი არა, არამედ სხვა პროდუქტებიც, რომელიც დაბეგვრილია. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ განსაკუთრებით მარცვლეულს მოვითხოვთ, მაგალითად, მეცხვარენი იძულებულნი გახდებიან შინაური საქონელი გაჰყიდონ, იმით მარცვლეული იყიდონ, და ნატურ-გადასახადი გაისტუმრონ. საქართველოში მიღებულ მეთოდის დროს კი შიში აღარ არის იმისი, რომ სასოფლო მეურნეობის ესა თუ ის დარგი დაიჩაგრება; ქართველ გლეხს მუდამ აქვს სამეურნეო ინტერესი და ამიტომ სამართლიანი შეწერა, რომელიც მის განკარგულებაში სტოვებს ზედმეტ პროდუქტებს, სრულიადაც არ აიძულებს მხვნელ-მთესველს, რომ დასათეს მიწის სივრცე შეამციროს. აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობას მისდევენ, შეუძლებელია აიძულოთ გლეხები, რომ ხვნა-თესვის მიყვნენ.

აქედან ცხადია, რომ სწორე და სამართლიან გაწერისათვის საჭიროა გამორკვევა იმისა, თუ ამა თუ იმ რაიონს რამდენი გადასახადის გადახდა შეუძლიან. ამის მიხედვით კიდეც უნდა შეეწეროთ მარცვლეული, ან სხვა პროდუქტები, როგორც ეკვივალენტი.

რუსეთის ცენტრი გადასახადის სიმძიმეს აკუთვნებს კულაკებს, მაგრამ რუსეთის სინამდვილე საქართველოს სინამდვილისაგან განსხვავდება: იქ სამოქალაქო ომის გამანადგურებელმა გრიგალმა გაიარა, რაიც საქართველოში არ ყოფილა და თუ საქართველოში რუსეთის მეთოდს გავიმეორებთ, მაშინ გადასახადი კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტს უნდა დააწვეს. საქართველოში გადასახადი ღარიბს არ უნდა შეეხოს. ამას მოითხოვს სამართლიანობისა და გლეხთა დანაწილების პრინციპი.

როგორც აზრთა გაზიარებიდან სჩანს, ამ თათბირზე პრინციპიალური დავა არ არის, ყველა აღიარებს, რომ სასურსათო გადასახადის შემოღება საჭიროა. თანხმობა არ არის მხოლოდ გადასახადის განაწილების მეთოდების შესახებ, მაგრამ ამ მეთოდის არჩევის დროს თვითეულ რესპუბლიკას თავისუფლება უნდა მიეცეს იმ მოსაზრებით, რომ თვითეულ მათგანში სხვა და სხვა თავისებური პირობებია. საქართველოში შემოღებულმა სასურსათო გადასახადის ორგანიზაციის მეთოდმა კარგი ნაყოფი მოგვცა: აღმოსავლეთ საქართველოში აკრებილ იქნა მთელი 100 პროცენტი, ხოლო დასავლეთ საქართველოში, სადაც სიმინდის აკრება მხოლოდ იანვარში დაიწყო, უკვე შეგროვილია 80 პროცენტზე მეტი და, როგორც ადგილებიდან მოსული ცნობები ადასტურებს, უახლოეს კვირეებში გადასახადი სრულად იქნება აკრებილი.

ეს მეთოდი—სასურსათო გაწერა არ არის, როგორც აქ სცდილობდნენ დაემტკიცებინათ და არაფერი საერთო არა აქვს იმ გაწერასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში.

მაზრებზე განაკვეთების განსაზღვრის დროს საქართველოს სასურსათო კომისარიატი ემყარებოდა ყველა მაზრისათვის საერთო საფუძვლებს:

1) დათესილი მიწების სივრცე 1919 წლის სანიმუშო გაწერის ცნობების მიხედვით და ბაღებისა, ვენახებისა და ბოსტნების რაოდენობა თვითეულ მაზრაში—1921 წლის სასურსათო გადასახადისა და 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების კორექტივით, 2) მაზრების უზრუნველყოფა შინაურ საქონლით 1921 წლის სასურსათო გადასახადისა და 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობების მიხედვით და 3) სამაზრო განაკვეთები, რომელსაც განსაზღვრავდნენ თვით ადგილობრივი მუშაკები—სამაზრო სასურსათო კომისარები შემდეგის მასალის მიხედვით: ა) სტატისტიკური ცნობები (სამაზრო სასტატისტიკო ბიუროსი, საადგილ-მამულო განყოფილებისა და ადგილობრივ გამოკვლევათა მასალები), ბ) მათი გამოცდილება და ადგილობრივ პირობათა ცოდნა, საგანგებო ანკეტით შეგროვილი ცნობები სამაზრო სასურსათო კომისართა თათბირზე და ამ კომისართა მოხსენებანი ცენტრში. ამის შემდეგ საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატის ცენტრი განსაზღვრავ და თვითეულ მაზრის განაკვეთს, შემდეგ ეს რაოდენობა ამავე პრინციპის მიხედვით ადგილებში ნაწილდებოდა თემებზე, სადაც უკვე იწყებოდა პერსონალური გაწერა; შემდეგ ხდებოდა ამ გაწერის სისწორის შემოწმება და ვადის განსაზღვრა საჩივრის აღსაძვრელად.

დასასრულ, ამხ. ერქომაიშვილი წინადადებას იძლევა, რომ საქართველოში მიღებული მეთოდი არ იქნეს უარყოფილი, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მთელს წრევანდელ სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩაშლა. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ სასურსათო გადასახადის განხორციელების საქმეში მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციისთვის შემოღებულ იქნეს ერთი საერთო პრინციპი, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ პრინციპში საინსტრუქციო წესით შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილებანი თვითეულ რესპუბლიკის ადგილობრივ პირობათა და თავისებურებათა მიხედვით.

ამის შემდეგ სიტყვას ამბობს სასურსათო კომისარის რწმუნებული სომხეთში **ამხ. პოლოხიანი**, რომელიც აგრეთვე არ ეთანხმება ამხ. ბუკრეევს.

მუშათა ცხოვრება

მჭედლის სიმღერა

საბერველი დაუბერე,
გაახურე მარდათ ქურა!
რა მუშაა-იგი მუშა,
ვინც ოფლი არ მოიწურა!

—

საქმე საქმეს ემატება
შეკვეთილებს, შეკვეთილი,
დაუბერე ჩქარა, ბიჭო!
იარაღს გვთხოვს გლეხის შვილი.

—

ცელი, თოხი და ნამგალი
საჩქაროზე გამოვჭედოთ,
ისე უნდა ვიმუშაოთ,
რომ მაღლა არ ავიხედოთ.

—

როცა საქმე ბევრი არის
შრომა უნდა დაიშურო;
აბა მიხო, მარდათ ჩქარა
მოიმარჯვე რკინის ურო!

—

ცხელ რკინასა უნდა ურტყა,
სანამ იგი გაცივდება!
ვიმუშაოთ, ოფლის ღვრითა
საქმე მალე გაკეთდება!

—

შრომის შვილმა გაიმარჯვა,
ძირს დაამხო თვითმპყრობელი,
დაუნგრია მეფეს ტახტი
და წაართვა ყოველისფერი.

—

გამარჯვებულ გლეხ-კაცობას
მეტი უნდა იარაღი,
შეიძინა ბევრი მიწა
სამუშაო ყანა, ბაღი.

—

აბა, მიხო, დაუბერე!
შერცხვეს, ვინც არ დაიჩქაროს,
იარაღი მივაწოდოთ
შიმშილმა რომ არ გვეწაროს!

—

გლეხმაც ჩვენთვის იმუშაოს,
მოიყვანოს მოსავალი,
ჩვენ მისთვინა, იგი ჩვენთვის
ესე არი ძმური ვალი.

—

ვებრძოლებით, თან წინ წავალთ.
სირცხვილია უკან ხევა.
სიკვდილი სჯობს ჩვენს სიცოცხლეს
უფლება თუ წაგვერთმევა!

საბერველი დაუბერე,
გაახურე მარდათ ქურა!
რა მუშაა იგი მუშა,
ვინც ოფლი არ მოიწურა!

მუშა ხიმონ მაიხაშვილი.

—

გამგე თუ ჟანდარმი?

ნათქვამია „კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებსო“, და აი ჩვენც საპნის-ზეთის და საფეიქრო ტრესტის კუთვნილ, მე-3-მე კომინტერნის სახელობის ბამბის საქსოვი ქარხნის მუშებს, გვყავს ასეთი კუზიანი გამგე. გასაკვირია ამ დროისათვის, მაგრამ ფაქტია ის, რომ გამგის ჩვენთან დამოკიდებულება და მოპყრობა თავისი უხეში ბრძანების კილოთი და ყოვლად დაუშვებელი სიტყვებით შორს სცილდება შავბნელ დროის ჟანდარმის ჩვეულებრივ მეტოდებს და ბადებს ჩვენში, მუყაით და ნაყოფიერ მუშაობის მაგივრად, დაუსრულებელ კონფლიქტებს და ზედმეტ მღელვარებას. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ ეს ვაჟბატონი ისე არ მოიბრუნებს სიტყვას, რომ „ჩეკით“ არ დაგვემუქროს.

ამა წლის 5 თებერვალს ადგილი ჰქონდა შემდეგ ყოვლად შეუწყნარებელ, შემთხვევას; სამ მუშას შეაგვიანდა ნახევარი საათით და როდესაც იმათ მოინდომეს მუშაობის დაწყება, მიუახლოვდა მათ გამგე და უხეში კილოთი წინადადება მისცა, დაეტოვებიათ ქარხნის „ტერიტორია“. კონფლიქტის მიზეზის გასაგებათ მივედით გამგესთან ჩვენ, მუშები მაგრამ გაკადნიერებულმა გამგემ არც კი გაგვხადა ღირსი, მოეცა ჩვენთვის რაიმე ახსნა-განმარტება და მიგვერეკებოდა დაზგებისაკენ. არ გასჭრა არც ქარხკომს, რომელიც პროტესტს აცხადებდა ქარხკომის დაუკითხავად და მისი ნების გარეშე მუშების ქარხნიდან გაძევების წინააღმდეგ. გამგემ არც მას მიაქცია ყურადღება და მასაც ისე როგორც სხვას წინადადება მისცა დაუყონებლივ დადგომოდა თავის დაზგას.

ასეთი, ფრიად არა სასურველი და ყოვლად დაუშვებელი შემთხვევებს აქვს ადგილი ჩვენთან თითქმის ყოველ დღე. მეტი მოთმენა შეუძლებელია. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და ძველი პსიხოლოგიის მატარებელი ქარხნის გამგე დაუყონებლივ გადაყენებულ იქნას თავის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დაინიშნოს ახალი პირი, სათანადო ცოდნით გამოცდილებით და პატიოსნებით აღჭურვილი.

მუშათა ჯგუფი.

—

თამბაქოს ქარხანა

7 თებერვალს, მოხდა საერთო კრება თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატ“-ის მუშებისა. კრებას დაესწრო კავშირის წარმომადგენელი ამხ. მელიქსეტოვი. დღიურ წესრიგში იყო შეტანილი სხვათა შორის—1) ახალი არჩევნები ფაბკომისა, 2) მისი მოღვაწეობის ანგარიშები და 3) უმუშევართა საკითხი. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ვრდოიანი. მომხსენებლად ფაბკომის სახელით გამოვიდა ამხ. ეკატერინე მიხაილოვა. მან დაწვრილებით გააცნო მუშებს ფაბკომის 6 თვის მუშაობა. საერთო კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო მისი მოღვაწეობა და მადლობის ნიშნათ მომხსენებელი ტაშის ცემით დააჯილდოვა. ამის შემდეგ, ვიდრე ახალ არჩევნებს შეუდგებოდით, ამხ. მელიქსეტოვმა ფრიად საყურადღებო საკითხი წარმოუდგინა მუშათა საერთო კრებას, რაზედაც მუშებმა შესაფერისი პასუხი გასცეს და დღიურ წესრიგიდან მოიხსნა ეს საკითხი. საქმე შემდეგში მდგომარეობს:

ამ მოკლე ხანში კავშირში დასმულა ასეთი საკითხი. რადგანაც ამ ჟამად უმუშევართა რიცხვი თან და თან იზრდება, ამისათვის საჭიროა გამოინახოს ისეთი გზა და საშუალება, რომ ამოდენა უმუშევართაგან მცირე ნაწილს მაინც აღმოუჩინოთ სამუშაო თუთუნის ქარხნებში. რანაირად მოხერხდება ეს?—ჩვენ კავშირს აზრად ჰქონია, რომ იმ ქარხნებში სადაც მუშაობენ ერთ ოჯახიდან—ცოლი და ქმარი; ორი და; ან ორი ძმა, მამა და შვილი, ან დედა და შვილი, ან კიდევ ქალი, რომლის ქმარიც სხვაგან მუშაობს და ცხოვრება „არც ისე ძალიან უჭირთ“, ამათგან თითო სული ქარხნიდან გაისტუმროს და იმათ ალაგას უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვიდან მიიღონ ქარხანაში სამუშაოზე. საკითხის ასე დაყენებამ დიდი აღელვება გამოიწვია მუშებში; ის მუშებიც, რომელთაც აქამდე არც ერთ კრებაზე არას დროს ხმა არ ამოუღიათ დღეს ყველა ორატორად გადაიქცნენ და შესაფერისი პასუხიც გასცეს კავშირის წარმომადგენელს. სხვათა შორის, ერთმა მუშამ სთქვა, ჩვენ ქარხანაში, მართალია მუშაობენ აგრეთვე ისეთი ქალები, რომელთა ქმრებიც სამსახურში არიან, მაგრამ ეს გარემოება განა ჩვენ უფლებას გვაძლევს, რომ სრულიად უმიზეზოდ ქარხნიდან გავისტუმროთ. ისინი, რომელთა ათი და მეტი წელიც გაუტარებიათ ქარხანაში და თავისი ახალგაზრდობა, ჯანის სიმრთელე შეუწირავთ ამ უკანასკნელისათვის ეს ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ თუ მართლა გვინდა, რომ ნამდვილ უმუშევარ მუშებს სამუშაო გაუჩინოთ, ამისათვის შეიძლება სხვა გზა გამოვნახოთ და არა ის, რომელზედაც მიგვითითებს კავშირი.

შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც, და საერთოდ ის აზრი გამოითქვა, რომ ქარხნიდან არც ერთი მუშის უმიზეზოდ გასტუმრება არ შეიძლება და სხვაფრივ დახმარებაზე არასფერი საწინააღმდეგო მუშებს არა აქვთ. ამგვარად, ეს საკითხი მოიხსნა სრულიად დღის წესრიგიდან. ამის შემდეგ მუშები შეუდგნენ ფაბკომის არჩევნებს.

კომისიჩეკამ წარმოადგინა თავის კანდიდატები, რომელთა შორის ისევ ძველი ამხანაგები იყვნენ დასახელებული. უყარეს კენჭი და საერთო ხმით გავიდნენ ისევ ამხ. ხაჩიკიანი, ეკატერინე მიხაილოვი და კოტაევი, ბარბალე ზახაროვის ნაცვლათ.

მუშა ალ. ბა—შვილი.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში

— **აგარაკების მმართველობა.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა აგარაკების სამმართველო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო აგარაკების სამმართველოს რწმუნებულად ამხ ფრანგულიანცი. სამეურნეო განყოფილების გამგეთ—ამხ. ალექსი ყამარაული, სამკურნალო-სანიტარულ განყოფილების გამგეთ—ექიმი ზანდუკელი და აღმშენებლობითი-ტექნიკური განყოფილების გამგეთ—ინჟენერი ბუზოღლი.

ქალაქის აღმასკომში.

— **ტრამვაის გაუმჯობესებისათვის.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღმასკომს გაეხსნას 4 ნახ. მილიარდის კრედიტი სახალხო ბანკში, გერმანიიდან მიღებულ ტრამვაის ნაწილების გამოსასყიდათ, ტრამვაისივე შემოსავლის გარანტიის ქვეშ.

— **სახალხო მსაჯულები.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა საგანგებო კომისიის მიერ წამოყენებული მორიგ სახალხო მსაჯულთა სია, რიცხვით 13 კაცი.

— **წითელი ჯარის 5 წლის თავზე.** აღმასკომის პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა, თანახმად წითელ ჯარების შეფთა ბიუროს მომართვისა, წითელი ჯარის არსებობის 5 წლის თავზე დღესასწაულის მოსაწყობათ მიეცეს აღნიშნულ შეფთა ბიუროს 50 მილიონი ოქროთი.

— **აღმასკომის წარმომადგენელი შეფთა ბიუროში.** აღმასკომმა შეფთა ბიუროში თავის წარმომადგენელათ დანიშნა ამხ. ს. ქლენტი.

— **დახმარება.** აღმასკომმა თავის მფარველობის ქვეშ მყოფ (შეფის) ჯარის ნაწილს, დაადგინა ყოველთვიურათ დახმარების სახით მიეცეს 100 მილიონი.

— **ელექტრონის გაყვანა.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა შაუმიანის სახელობის სკოლებში ელექტრონის გასაყვანათ, და წინადადება მიეცა ელექტრონის სამმართველოს დაუყონებლივ გაიყვანოს ელექტრონი.

— **დარაზების შესახებ.** აღიძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა რუსთაველის ქუ-

მსოფლიო ელის...

(საბედისწერო დუელი)

პოემა.

ეს ტრაგედია დაიწყო გუშინ,
აივსო ცეცხლით ინტერვალები.
დარდი და ბოღმა გაქვავდა გულში,
გარემოს სწურავს მკრივი ძალები.

რკინის ბორბლები განაგრძობს ტრიალს
და თუჯის ლურსმით სჭედს საუკუნეს.
სისხლის ღვართქაფში ადნობს ბედს მტირალს
და გამარჯვების მარშს აგუგუნებს.

ბევრი დროები მოკვდენ, დავმარხეთ,
სამარადისო გვატკბობს გალობა.
ახალ ემბლემას ვუხსნით არტახებს,
გულში ღრმად დასჭრეს იდუმალობა.

სად არის ქრისტე, სად არის ბუდა?!
წავიდნენ, გაქრნენ ყველა დროები;
დღეს კი მსოფლიოს კვლავ დაუბრუნდა
ჩვენი აქ მოსვლა განმარტოებით.

და მოგვაქვს ცეცხლი, მოგვაქვს იმედი,
მიდის სიცოცხლე და ბრწყინვალება.
უცებ აენთო მსოფლიოს ლვედი
ბოლო მოეღო სულის წვალებას...

დღეს სულს აღარ სწვავს ეს აგონია,
თუმც ისევ ფეთქავს პლანეტა ბნელი,
თუჯის გალავნებს გადაჰკონებია
წითელი ნისლის კორიანტელი.

და ლანდი შორი, ცქრიალა ფერის,
ევლება მინდვრებს, მთებს და ქალაქებს;
ციდან ჩამოხტის ელვის ჩანჩქერი
და სწვავს მსოფლიოს მტკივან ალაგებს.

მზე მოხუცია და მის მკრთალ სხივებს
ათრთოლებს ყველგან ელვისოს ჩქერი,
ადრე თუ გვიან მას გააცივებს
სხვა პლანეტივით მოუვა ჯერი.

მაგრამ ფოლადი, რკინა და თუჯი
სახე მრისხანე მარად ითრთოლებს,
ელვისოს ჩქერის ელვარე ტუჩით
სწვავს ქვეყნის ბურთზე შემორტყმულ რგოლებს.

და ის ასეთი სწრაფი ციმციმით
გვინთებს შორეულ გულცივ პოლიუსებს,
გაგვაფოლადებს შრომის ბარძიმი:
ქართველებს, ნემცებს, ფრანგებს და რუსებს.

გვექნება ერთი სახელი მიწის
და ხალხთა ერთი შემკრები სფერა;
ძველი ქვეყნების სამოსი იწვის
ისმის ტრილი, ისმის სიმღერა.

და ასე მოდის მძლავრი მესია,
ის ქვეყნად მოდის შიშველი ფეხით;
მას გამოყვება ბრბოს პროცესია
და ქვეყნის ღერძი გადანატეხი.

თავს დაიმშვენებს ელვის კონაზე
ხუთი ერთგვარი, ერთძალი სხივი,
მოუსწრებს იგი ჩვენ დროს უნაზესს,
სულ დაეკვრება ვნების ლაქივით.

და ვიტყვით მაშინ: ვსჭედთ რკინის კარებს,
ყველა ჩვენგანი არის ჰერკულეს;
ბრბო თავგანწირვით ამტვრევს ყველაფერს
და ეძებს მომმის მის უერთგულესს.

ყოველი მხრიდან გუგუნებს ხმები,
ტყდება მსოფლიოს ყრუ ხერხემალი.
თვით დედა-მიწა იწვის და ხმება,
დღენი და წელნი მიდიან მალე.

დღეს ისეთია აურზაური
ვერც კი გაიგებ მსოფლიოს კივილს;
არის საერთო შური, ტრაური,
ჩაფანგულ მკერდის ვინ ისმენს ტკივილს.

აქ ისტორიის მსხვილი ბორბლები
ტრიალებს მძიმედ, ტრიალებს მიდის,
სტირიან მისგან და ნაობლები
შვილები მხოლოდ ძველ პირამიდის.

და ფართოვდება ბუდე სულისა
მსოფლიო გული აივსო სისხლით,
ტყვიის მფრქვეველის კომლის სუნისგან
იხრჩობა ყველა ატეხილ ნისლით.

და ამ გაბედულ ჟამთა კარნავალს
წინ უძღვის შური ვით კომანდორი,
შორ უჩანს ბოლო გზას კიდევ სავალს
ჩაფიქრებულა ტორიადორი.

მაგრამ იწყება ამიერიდან
სრბოლა უჩვევი მწყურვალ-მშიერთა,
გუშინ მას არვინ არ მიერიდა
ბედითი კრული არ შეიერთა.

და გულდამწვარი, გაშმაგებული
აქედან მიდის ელვის რაშებით,
ანგრევს რაც ქონდა მას აგებული
ღონიერ წინსვლის შეთამაშებით.

მოდის სიკვდილი, იტირე მიწავ!
ველარ დასწურავ მერედიანებს,
ახალ გზის ნახვით თვალებს დაიწვავ,
მაგრამ ამით რას დააგვიანებ!

მოდის ერთი დრო რისხვით ხმაურობს
გაივსებს მუცელს სისხლის მორევით,
ადამიანის აზრებს აურევს—
მასაც მოყვება მისი მომრევი.

და ამ ჴიდილის კორიანტელი
აქანებს მიწას... ცას ეცინება;
არც ერთი სახლი არ არის მთელი
ტროტუარს ფარავს ფანჯრის მინები.

არ არის შველა... არ არის ღმერთი
და ისევ ქარი ჰქრის თმებ აშლილი;
ოფლი და ცრემლი სისხლის ტბას ერთვის
მსოფლიო სულის გადამხარშველი.

დღეს უეცარი გახდა სიწითლე
ქვეყნის ერთ კიდის სახის ფერებად,
სასახლეები ვხედავთ იწვის მთლად,
წინ გაქანებას მზე ეფერება.

და ეს წინ ლტოლვა ჰკოცნის კვიპაროსს,
ციდან მიწაზე მეხი ჩამორბის;
ბელზებელს მტირალს გამოეპარა,
რომ დედა მიწა აცდა ძველ ორბიტს.

აცდა ძველ სავალ, გაყინულ წერტილს
და მაშინ გემზე აშალეს აფრა;
დროსა და სივრცის ტანს ჩამოწყვეტილს
ეხლა სატანა გადაესაფრა.

და ასე ხვალე ატყდება შიში,
შავ კოსმოსს შეღებს ღრუბელთ კრებული;
გადაადუღებს მიწას და ქვიშას
ვულკანი უცებ აფეთქებული.

სიცოცხლემ სიკვდილს ჩასჭიდა ხელი,
შორი ლაჟვარდი ფრთა გაშლით ელავს;
მიწაზე სისხლით აღვსილა ღელე
ადამიანი ოდნავ არ ღელავს.

და ასე მწყობრად მიემართება
საშინელების სილუეტები,
მიწას აწუხებს ცეცხლის ანთება
და ზღვას ქარიშხლით სისხლის სვეტები.

რა გინდა ქარო, რა გინდა ქარო,
დაბერე ბებერ ქვეყანას ისე,
რომ ვარსკვლავებსაც ,ი შეაყარო
მტვერი მიწის და ნამტვრევი ქვისა.

და დავისვენებ ამ ფიქრში ბავშვი.
სულის კედლები თუჯით აშენდენ;
რამდენჯერ გრძნობა დავკარგეთ გზაში,
ო, ქარო მაინც მოვედით შენთან.

ჩვენ მოგვყვებოდა ფოლადი, რკინა,
ურდო მშიერთა, ყველა გმირები;
ძნელია თუმცა ახვიდე ტკბილად
ამ საუკუნის შავი გვირაბი.

მიდის წელი ვით მატარებელი,
ლანდები ჩნდება და ისევ ქრება...
წითელი ნისლის გადამღებელი
სულს კიდევ ითქვამს და იკრიბება.

მაგრამ ქაოსი და აგონია
რკინის გალავანს გაურბის, უფრთხის,
აქ, მარტო სიტყვა ტ ვიად ჰქონიათ
თავისუფლე ის სისხლში ნაკურთხი.

პირმომცინარე დროშების ფენამ
შეფიცეს სისხლით შეღებილ დღეებს;
არ იყო უცხო ეს გამოფენა
მაინც უკვირდათ მოქალაქეებს.

ქუჩამ დილიდან იწყო ხმაური
და მუსიკისა ტკბილი გუგუნი,
იყო მომშლელი შიშის, ტრაურის
და დამმარხველი ამ საუკუნის.

მიდის მწკრივები... სულს უყვარს ასე,
ქუჩა მრისხანე ღელავს კუპრის ტბად,
ქალაქი შფოთავს სიცოცხლით სავსე
ჰაერიც მძიმე უეცრივ გათბა.

და არის რაღაც გაუგებარი,
ძალა სიამის ათრთოლებს ჰაერს
ბედი სიცოცხლის თუ სხვას ებარა
დღეს ვტოვებთ ნაღველს სხვა და სხვა ნაირს.

ურიცხვ ძალების რეკენ ხმებია
შემკვრელი ერთი დიადი აზრის,
მტრები შრომისა შიშით ხმებიან
მათ გულს აწ ლულებს სიტყვები ბასრი.

და ტრიბუნაზე ადიან ხშირად.
გრიალი, ტაში და მღელვარება;
ყველა მრისხანე, გულმკერდ ნახშირა,
ოფლის ღვართქაფი გულს ელვარებათ.

ვიძიოთ შური! გრიალებს ხმები
და ვით ზღვა შმაგი მიიწევს ბრბო წინ,
წვიმაა სისხლის... შავდება მთები
მეორედ მოსვლის მართავეე ქორ ილს.

და მოცქრიალე შუქი კანდელის
აღვიძებს ყველგან მთვლემარე—მცონარს,
ბრბო ბორკილების დამტვრევას ელის,
მღერის ტკბილის ხმით ინტერნაციონალს.

წითელი ნისლი და განთიადი
და ცის კიდური სისხლით ნაღები,
ისე კარგია, რომ სიწყვდიადეს
ფარავენ სისხლის ბაირაღებით.

და კარნავალი ბუნების ძალთა
ვერცხლის მდინარედ მიიზლაზნება;
გადმოგვაფარა გრიგალმა კალთა,
ჩვენც მაშინ ვპოვეთ სულის აგზნება.

დღეს აღარ გვიჭერს რკინის სალტენი,
მღელვარე სულმა იწყო ნავარდი;
უცებ აენთო ბედის სანთელი
გახარებული, ცის სილაჟვარდით.

და გვიხარია, რომ ასე მიდის
ბედი. ეკვატორს ვუახლოვდებით.
სისხლი გვაქვს ტანში იაფეტიდის,
და ჩვენი შიშით სკდება ლოდები.

სული და გრძნობა ეხლაც წინ გვისწრებს
და სურვილებში ისე ვხურდებით,
რომ რკინის გული ყრის ცეცხლის ისრებს,
კივის: მსოფლიოვ განადგურდები.

ვუცქერით ყველა ამ ვრცელ სურათებს,
ქვეყნის შორეულ ნაპირებს ვზვერავთ,
მეორე წარღვნას აქ უყურადებს
ვით ჯადო მისანს—ახალი ერა.

და დედამიწის ბებერი თავი
ცხოვრების წინსვლას დაუსერია;
აღარ თავდება მწვავე და შავი
გრძელ სურათების მძიმე სერია.

პირ სისხლიანი სტირის სამყარო
უცქერის წარღვნის დემონსტრაციებს,
ჩვენ იარაღი უნდა აგვყაროს,
მაგრამ სიკვდილი შიშით აცივებს.

ქარხნის გალავანს არტყია ჯარი
და ურდო შრომის გადიქცა რკინად,
ცეცხლი სწვავს ყველგან ვისიც გვაქვს ჯავრი,
სისხლი მიწის გულს ღვარად ედინა.

და მიქრის რისხვის საშინელება
კოცონის ალი ყველგან ანთია,
ვის ძალუძს ამის დღეს შენელება,
მიწამც მოგვხვია ცეცხლის მანტია!

არ არის ღამე. მზეც აღარ ჩადის
დღეს ელექტრონი მეფეა, რადგან
შავი პლანეტა ვერ მისწვდა წადილს
და მარცხით თავის წრიდან გადადგა.

მიქრის გრიგალი და ჩვენც მივყვეართ
დახევა უკან არის საშიშო;
მსოფლიოს გულზე დარაჯათ ვდგევართ
და ვამბობთ: გმირებს ჩვენვე გზაში ვშობთ.

რაინდებს სული წინ მიგვაქანებს,
სტირის დაჭრილი მეფისტოფელი;
ქარია ზღვაზე, შლის იალქანებს
და გემის მოსვლას მსოფლიო ელის.

ამ მოლოდინში მაინც ვიხარებთ
ნუ ივლი ბედო! ფეხმძიმეთ, ნელა,
მსოფლიო გულზე გადაიხარე,
შრომის გმირების დასაკოცნელად.

იონა ვაკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაზე მდებარე დარაბები №№ 10 და 21 გადაეცეს ქალაქის ალმასკომს.

— **პროექტი.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროექტი მუსულმანურ სკოლების ასაგებ შენობისათვის.

— **დაჯარიმება.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნალურ კოლეგიის დადგენილება და წინადადება მისცა სამმართველოს განყოფილებას გადაახდევინოს დადებული ჯარიმები შემდეგ მეხორცეებს ანტი-სანიტარულ ფურგუნებით ხორცის გადაზიდვის გამო.

— **სასკოლო გადასახადების გატარება.** ვინაიდან ჯერ არ დასრულებულა სამოქალაქო გადასახადის აკრეფა, პრეზიდიუმმა დაადგინა, ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა სასკოლო გადასახადების აკრეფა დაწყებული იქნეს 1 მარტიდან და გაგრძელდეს არა ნაკლებ 1 თვისა. დაევალოს საფინანსო კოლეგიას პ. კ. საბჭოსთან და განათ. განყოფილებასთან ერთად გადასინჯოს დეკრეტი და შეადგინოს შესატანი გადასახადის ცვლილებათა პროექტი.

შრომის კომისარიატში.

— **ტვირთზიდვისა და შრომის საგადასახადო აპარატის გადაცემა.** სამაზრო შრომის სახ. კომ. კოლეგიამ დაადგინა გადასცეს ამ.-კავ. ფინან. სახ. კომისარიატის რწმუნებულს შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის განყოფილების ყველა საქმეები და განყოფილების 2 თანამშრომელი; აგრეთვე გადასცეს შრომის და ტვირთზიდვის ფონდიდან ყველა თანხები, რომელიც გასულ წელს შრომის და ტვირთზიდვის გასატარებელ ხარჯებს გადარჩა.

— **არტელები.** სამაზრო შრომის სახ. კომ-ის კოლეგიამ არტელის საორგანიზაციო ბიუროს წინადადება მისცა, რომ 1) საჩქაროთ მოახდინოს არტელების დავალიანების ლიკვიდაცია. 2) შეადგინონ შრომის და საწარმოო არტელების ნორმალური წესდებები. 3) კვლავ მოახდინოს არსებულ არტელების რეგისტრაცია. 4) მჭიდრო კავშირი დაამყაროს შრომის არტელებისა კავშირებთან, ხოლო საწარმოო არტელებისა სახ. მეურნ. უმ. საბჭოსთან.

დამზღვევ კასაში

— **დახმარება განსვენებისათვის.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა 1 თებერვლიდან გაილოს დახმარება განსვენებისათვის მიუხედავად ასაკისა, 4 მილიონი მან. რაოდენობით.

— **მშობიარობის და კვების დახმარების რაოდენობა.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა გაილოს 1 თებერვლიდან მშობიარობისათვის ერთდროული დახმარება, 2,800,000 მან. ერთის რაოდენობით, ხოლო კვებისათვის 1,200 ათასი მანეთი ყოველთვიურად.

— **პენსიის რაოდენობა.** დაზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა დროებით გაილოს პენსია საკატეგორიო განაკვეთის მიხედვით, რომელიც გამომუშავებულია ორი მესამედი ანგარიშიდან საქ. პროფ. კავ. საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების მიერ, ხოლო პირველი სამი კატეგორიის მუშებს პენსია მიეცეს მე-4 კატეგორიის მახედვით.

სისხლის სამართლის მილიციაში

— **პროსტიტუციის წინააღმდეგ.** სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების ენერგიული მოქმედებით ტფილისის სასტუმროებში აღმოჩენილი და შეპყრობილნი იქნენ მეძავი ქალები. უკანასკნელათ ძლიერ გამრავლდა მეძავი ქალების რიცხვი და თუ რაიმე განსაკუთრებული ზომები არ იქნა ამის წინააღმდეგ მიღებული, მარტო მათი ნაწილის დაპატიმრება ვერ მოსპობს პროსტიტუციას.

— **აფერისტ ვაჭრის დაპატიმრება.** 3 თებერვალს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ვინმე მიხაილოვი, ნამდვილი გვარით როგაჩევი, რომელიც ყალბი ფირმის მოწმობით ადგილობრივ ვაჭრებისაგან იღებდა ბეს. სწარმოებს გამოძიება.

სხვა და სხვა

— **„ჩემოს" საზოგადოება.** ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება „ჩემოს" საბჭომ თავის საავადმყოფოს მთავარ ექიმათ მიიწვია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკის ასისტენტი ექიმი სერგო ხუნდაძე.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექ. ფაკ. ტერაპიულ კლინიკის ასისტენტ-ექიმების — შ. მიქელაძის და ნ. მახვილაძის წიგნი: „კლინიკური ანალიზები" პროფ. ალ. ალადაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

ხელოვნება

— **აკაკი.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე დაადგინა: აკაკის გარდაცვალებიდან რვა წლის თავის აღსანიშნავად მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი თებერვლის 15 უძღვნას აკაკის, ყველა საზოგადო და კულტურული დაწესებულებანი ამ დღისათვის მოწვეულ იქნებიან საბჭოს მიერ საგანგებო ბარათებით. სიტყვებს წარმოსთქვამენ: კ. გამსახურდია, კ. აბაშიძე, არ. ჰუმბაძე. დასასრულ ლექსები და მოგონებები.

— **პოეტი ბაჩანა.** როგორც მწერალთა კავშირის საბჭოს აცნობინებენ პოეტი ბაჩანა ამ ჟამად უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. სრულ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღმოუჩინონ ბაჩანას სასწრაფო დახმარება.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა. „პიკის ქალი" ზიმინის და ვორისკის მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—„ოტელო" ქართულათ. საბჭოთა თეატრი. „ჩემი ბები" გლაგოლინის და ვალარ კის მონაწილეობით

პროფკავშირთა კლუბი—საღამო-კონცერტი კლუბის ფონდის გასაძლიერებლათ

პირველი სახელმწიფო კონსერვატორია—სომხური მუსიკის საღამო. კინო-მინიონი—წითელი ფანარი. არფასტო „უხილავი ხელი" მე-2 სერია. კინო „ს ილეი" ყვითელი სამკუთხედის გმირები.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

კომუნალურ კავშირის პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია მუშა-მოსამსახურეთა უმუშევრების მდგომარეობის გაუმჯობესებას და გადასწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს თავის წევრთ იმ ფონდიდან, რომელიც არსებობს სპეციალურად უმუშევართა დახმარებისათვის. შრომის დაცვის განყოფილებამ ამ მიზნით დაურიგა ანკეტები (ცნობის ფურცელი) უმუშევართ. ანკეტების მიზანია გამოარკვიოს უმუშევართა ოჯახური მდგომარეობა, მაგალითად, ვის რამდენი შესანახი სული ყავს ოჯახში. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს მცირე წლოვან მომუშავეთ, რომლებიც ინახავენ მოხუცებულ მშობლებს და ქვრივებს და რომელთაც ჰყავთ მცირე წლოვანი ძმები და დები შესანახი. დახმარება უკვე აღმოეჩინა 23 კაცს.

— აღნიშნულ კავშირის კულტურულ განყოფილების ყურადღება გასულ იანვრის განმავლობაში მიქცეული იყო უმთავრესად წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. იანვარში კავშირს ჰქონდა ამ მიზნისათვის 5 სკოლა, ამავე ხნის განმავლობაში კავშირმა შრომის სკოლებში გაგზავნა მუშების ოთხი ბავში. პროფესიონალურ ტეხნიკურ სფეროში კულტ-განყოფილება ჰფიქრობს გახსნას ელექტრიკებისათვის კურსები შემუშავებულია პროგრამა. კულტ-კონფერენციები კავშირს იანვარში არ ჰქონია. კულტურული განყოფილება ამ ჟამად მუშაობს ძველი გზით. მის ხელმძღვანელობით სწარმოებს მუშაობა კლუბებში, სადაც არსებობს დრამატიული და მუსიკალური სტუდიები.

— 8 თებერვალს შესდგა ცენტრალურ გამგეობის სხდომა. გამგეობამ დამსწრეთ გააცნო თავისი მოღვაწეობის ანგარიშები და მოიწონა მომავალ სამუშაოს გეგმა.

აღმშენებლობითი კავშირში.

აღმშენებლობითი კავშირი პრეზიდიუმმა დაადგინა აუცილებლად სცნოს თავის ყველა წევრთათვის პროფესიონალურ ტეხნიკურ კურსებში შესვლა, რასაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, რათა ყველა წევრები ჩაეწერონ ამ კურსებში. 28 წლამდის ყველა კავშირის წევრ ვალდებულია გაიაროს აღნიშნული კურსები. 28 წლის ზევით წევრის სურვილზეა დამოკიდებული.

— კავშირთან არსებობს აღმშენებლობითი განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის: აღმშენებლობითი წევრთა „ამ ანაგობის" დაარსება, სადაც შეერთებული იქნება აღმშენებლობითი კავშირის ყველა ცეხები.

— აღმშენებლობითი კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მუშა-მოსამსახურეთა გასამრჯელოს ახალი ტარიფის გაარების საკითხი, რომელიც შემუშავებული იქნება საქონლის ტარიფის მიხედვით. ახლო მომავალში სატარიფო ცხრილი დაიყოფა კატეგორიებად.

— კავშირმა უკვე მოახდინა რაიონულ კომიტეტების წევრთა ახალი არჩევნები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 5

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატისა, რესპუბლიკის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ფულის რაოდენობის შეცვლის შესახებ.

შესაცვლელად სახალხო განათლების კომისარიატის მიერ 1922 წლის 15 სექტემბერს გამოცემულ დადგენილების 1-ლი მუხლისა, მიმდინარე 1922/23 სამოსწავლო წლის მე-2 ნახევარში სწავლის გადასახადი, რომელიც შემოღებულ იქნა ზემოაღნიშნულ დადგენილებით საშუალო (ტეხნიკუმებში) და უმაღლეს სასწავლებლებში, დიდდება 100 პროცენტით ე. ი. საშუალო სასწავლებელთათვის განისაზღვრება ნახევარ წელიწადში 1.500.000 მანეთი თითო მოწაფეზე ნაცვლად 750.000 მან. ხოლო უმაღლეს სასწავლებლებისათვის 2.500.000 მან. თვითეულ სტუდენტზე (ნაცვლად 1.250.000 მან.).

განათლების კომისარი დ. კანდელაკი

პროფ. განათლების მთავარ-მმართველობის გამგე ნ. მგელაძე.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე.

ყველა წარმოება-დაწესებულებების, ფაბრ. ქარ. ადგილკომების და კასის ყველა წევრების საყურადღებოდ.

ტფილისის დამზღვევ კასის გამგეობის შუამდგომლობით საკავშირო საბჭოს მიერ 30 დეკემბერს 1923 წელს გამოცემულ დეკრეტში შეტანილია ცვლილება, რომლის მიხედვით დახმარების (ჯამაგირების) გაცემა დაზღვეულ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის იწარმოებს შემდეგ წესით: იმ შემთხვევაში, თუ მუშა ან მოსამსახურის ავადმყოფობა გრძელდება არა უმეტეს 3 დღისა, ამ 3 დღის ჯამაგირს იძლევა წარმოება-დაწესებულება. თუ ავადმყოფობა გრძელდება 3 დღეზე მეტს დღიდან შრომის უნარის მოკლებისა სავსებით იძლევა ჯამაგირს დამზღვევი კასა.

დამზღვევ კასის პრეზიდიუმი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის [illegible] რაიკომი აძლევს წინადადებას გამოცხადდენ რაიკომის „აგიტ-პროპ"-ში შემდეგ ამხანაგები: ავაქოვი, ვართანოვი (უმ. სამ. საბ.), არ. როდოვიანი, ხაჰაპურიძე, ბახუტოვი, გინზბურგი, ლიადოვსკი, ნ. ზავარიანი, არჩ. მიაძე, რუხაძე, შავერდოვა და სურ. ერზიკიანი

— კვირას, 11 თებერვალს, 10 საათზე საქ. კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 სარაიონო კომიტეტის შენობაში დანიშნულია სარაიონო კომიტეტის პლენუმის სხდომა. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტებს—პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ მუშათა ფაკულტეტის № 23 იაჩეიკაში ითვლებიან და რომლებიც ჯერ არ არიან ჩარიცხულნი მე-2 სარაიონო კომიტეტის სააღრიცხვო ნაწილში—გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ სარაიონო კომიტეტში 2 დღის განმავლობაში. (მიხეილოვის პრ. № 96). ვინც ზემოაღნიშნულ უკანასკნელ ვადაში არ გამოცხადდება, საქ. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციიდან მექანიკურათ გამორიცხულით ჩაითვლება და თავისი უფლების აღსადგენათ იძულებული იქნება ტფილისის კომიტეტს მიმართოს."

მდივანი ივანოვი.

— 4 რაიონის რაიკომი წინადადებას აძლევს „ლენინის" სახ. ფაბრიკის პოლიტ-წრეების, ცეცხლის მქრობელთა რაზმის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, სახელმწიფო ოპერის, დარაჯთ და მეეზოვეთა სექციის და პურის მცხობელთა სტაროსტებს შეავსონ საკონტროლო ანკეტები და წარადგინონ იგი 12 თებერვლისათვის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა, მეტყევეთა კავშირის და ქალაქის ფურნეების იაჩეიკების, ქალაქის მილიციის, „კარლ-მარქსის" სახელობის ფაბრიკის, ელექტრონის მოწყობილებათა სამმართველოს, სახალხო კავშირის, საქართ. საგანგებო კომისიის, სახ. განათლების კომისარიატის და სასპორტო საზოგ. „ჰერკულესის" და კომუნალურ მეურნეობის მუშაკების კავშირთან ახლად დაარსებულ პოლიტ-წრეების სტაროსტებმა—13 თებერვლისათვის უნდა წარადგინონ რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგ. განყოფილებაში კურსებზე ჩაწერილ მსმენელთა სიები.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკის, პოლიტეხნიკუმის, პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების და სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა მარქსისტულ წრეებს—ევალებათ აირჩიონ სტაროსტები, რომელნიც უნდა გამოცხადდენ რაიკომის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში ყოველგვარი მასალებით.

რაიკომის საგიტ-საპროპაგ. განყოფ. გამგე არუსტანოვი.

მარქსისტულ წრეების მეცადინეობათა ნუსხა.

— კვირას, 11 თებერვალს, დილის 11 საათზე გაიმართება ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— ორშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება პროფკავშირთა საბჭოს კულტ განყოფილებასთან არსებული წრის კრება, ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— სამშაბათს 13 თებერვალს და შაბათს 17 თებერვალს საღამოს 5 საათზე გაიმართება განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების სამმართველოსთან არსებულ წრის კრება საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე სკოლის გარეშე სწავლების სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს და შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ. მედვედიევი.

— შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღ. ამხ. ნოვიკოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება.

პროფესიონალური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭო წინადადებას აძლევს ამავე უნივერსიტეტის კურსისა თუ ფაკულტეტის სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეების გამგეობებს და ყველა სტუდენტურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ შტამპები და ბეჭდები, სამი დღის ვადაში ჩააბარონ ასეთები სტ. საბჭოს ტეხნიკურ მდივანს უნივერსიტეტის შენობაში, საბჭოს ოთახში, დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

სტუდენტთა საბჭო.

— სამშაბათს 13 თებერვალს საღამოს 6 საათზე პროფ. კავ. საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქ. პროფკავ. საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) უმუშევართათვის ბირჟისაგან დამოუკიდებლად სამუშაო ადგილის გამოძებნის უფლების მინიჭების შესახებ.
2) საბინაო კოოპერატივის შესახებ.
3) საბინაო განყოფილების გაუქმების შესახებ.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სასურველია დასწრება საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებისა და ადგილკომების წევრთა.

განცხადებები

მწუხარებაში მყოფნი: დედა ანასტასია, დები ნინა და ოლღა, ძმა ივანე სინაურიძეები, სიძე სანდალა და დისწული გულსუნჯა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა) დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ნატაშას

სულის მოსახსენებლად. (111 1—1

კვირას, 11 თებერვალს,

სახელმწიფო

ოპერა

კნიაზ-იგორ

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კრ. 168—1—1

ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის მარტის 4-ს, დილის 11 საათზე, საზ—ბის ბინაზე (სასახლის ქ. № 6) დანიშნულია საზოგადოების წევრთა

არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1. 1920 წლის ანგარიშის მოხსენება და დამტკიცება; 2. მოხსენებანი საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა 1920 წ. ანგარიშების შესახებ; 3. გამგეობის მოხსენება ბანკის მიმდინარე მოქმედების შესახებ დღიდან განახლებისა; 4. საბჭოს მოხსენება 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ; 5. გამგეობის ერთი წევრის არჩევა.

შენიშვნა: თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება მოხდება მარტის 18-ს იმავე ბინაზე, დღის 11 საათზე აღნიშნულ საკითხების გადასაწყვეტად და ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა. (113 1—1)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
პ. პ. შენგელიძესი და ექიმი პ. გ. მეუნარგიასი

მიიღებიან ბავშვები **ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.**

ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ. № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—10)

18 თებერვალს დღის 12 საათზე

ყოფილ არტისტიულ საზ. გადოების საკონცერტო დარბაზში

(რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება

საზეიმო საჯარო (შესვლა თავისუფალია)

სხდომა

აკადემიკოს ს. გ. ნავაშინის

საპატივცემოდ მისი იუბილეის გამო (40 წლის სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა და მის მიერ მცენარეულობის ორმაგ განაყოფიერების აღმოჩენის 25 წლის თავი)

ყველა დაწესებულებებმა, საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ მილოცვებში, უნდა წინდაწინვე შეატყობინონ ამის შესახებ ამხ. ლენინის სახელობის ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის კანცელარიაში (გრიბოედოვის 18) სტუდ. საქმეთა გამგეს ა. გ. გალსტიანს, 11 დან 3 საათზე ყოველდღიურად.

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე

შესდგება ბანკეტი

იუბილიარის საპატივცემლოდ,

ჩაწერა სწარმოებს დღის 12 საათამდე 16 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის ტფ. სახელ. პოლიტ. ინსტიტუტის სტუდენტთა წარმომადგ. საბჭოში ამხ. ბაგდასაროვთან (რუსთაველის პროსპ. № 21, ეზოდან მარჯვნით მე-3 სართ ლი) ყოველდღიურად 5 ნახ.-დან 8 საათამდე.

ბანკეტზე შესატანი ფასი გამოცხადებული იქნება დამატებით, ან ჩაწერის დროს.

საიუბილეო კომისია.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარიატი

აცხადებს, რომ მან დაამზადა

10 ვერსიანი

გეოგრაფიული რუქა საქართველოსი,

ქართულ ენაზე, 4 დიდ ფურცელზე, და იყიდება ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე 3 მანეთად კერძო დაწესებულებებზე და პირებზე 5 მანეთად ოქროთი

ყიდვა

შეიძლება შინაგან საქმეთა კომისარიატში: ევანგულოვის ქუჩა, № 2 |ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობა| მესამე სართული, ოთახი № 20.

(კრ. 170—2—1)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—10)

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მალარიისა 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი. **იღებს 9—12 საათამდე დღის და 5—7 ს. საღამოს.** ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25—4)

სახლი

მდიდრულად მორთული, განმარტოებული, თავისუფალი ბინით, ვისაც სურთ საჩქაროთ ხელსაყრელ ფასში

იყიდოს და გაყიდოს

მიმართოს დავიდოვის ქ. № 3, ბინა 2. 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

დავკარგე სახლის წიგნაკი და ვთხოვ მპოვნელებს დამიბრუნონ ნინო მჭედლიძეს. წავკისის ქუჩა № 12. № 115 1—1

ვადგენ ახალ მოსამზადებელ ჯგუფებს მომავალ სამოსწავლო წლისათვის ტეხნიკუმ., მუშფაკულტ., სამხედრო სასწავ., საბჭოთ ინსტიტუტში, შრომის სკოლაში, საერთო კურსებზე შესასვლელად მე-5, მე-6, მე-7 კლასში და

მათემატიკაში,

(არითმეტ. ალგებრა გეომეტ. და ტრიგონ.)

რუსულ, გერმანულ ენებში ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. ჩაწერა და მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. (102—3—3)

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიური

განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სამრეწველო დაწესებულებებს

სავალდებულო რეგისტრაციის

შესახებ, თანახმად ს. მ. უ. ს. 6 იანვრის 1923 წ. № 21 დადგენილებისა:

რეგისტრაცია სწარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების დილის 9—12 საათამდე, კერძო დაწესებულებების 12—3 საათამდე ორშაბათიდან **12 თებერვლიდან** ეკონომიურ განყოფილებაში პუშკინის ქუჩა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში.

წარმოებები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში № 21 დადგენილებაში დაწესებულ დრომდე, დაჯარიმებულ იქნებიან 1000 მან. ოქროთი.

პროვინციაში რეგისტრაცია სწარმოებს კომუნალურ განყოფილებებში. (168—3—2)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ბათომსა და ბაქოს შორის

დიდის ჩქარი (КУРЬЕРСКIЙ) მატარებელი № 1 და 2 კვირაში ორჯერ.

ბათომიდან მატარებელი № 1.	ოთხშაბათ. და შაბათობით	დღის 2 საათ. და 20 წ.	თბილისში მოვა ხუთშაბათობ. და კვირაობით. გავა იმავე დღეებში.	დილის 6 ს. და 15 წუთზე. დილის 9 ს. და 15 წუთზე.	ბაქოში ჩავა პარასკეობით და ორშაბათობით.	დილის 8 ს. და 25 წუთ.
ბაქოდან მატარებელი № 2,	ოთხშაბათ. და შაბათობით	საღამოს 7 ს. და 10 წ.	თბილისში მოვა ხუთშაბათობ. და კვირაობით, გავა იმავე დღეებში.	საღ. 6 ს, და 55 წ. საღ. 9 ს.	ბათომში ჩავა პარასკეობით და ორშაბათობით.	დღის 1 ს. და 25 წ.

ამ მატარებელში არის ნაწილი და საჯდომი ადგილები პლაცკარტებით, ვაგონები განათებულია ელექტრონით და აბსოლიუტური სისუფთავე დაცული.

მატარებელში არის ვაგონი—რესტორანი. ადგილები რბილ და მაგარ ადგილებზე უზრუნველყოფილია.

კრ. 164—1—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.